გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N29 (9209) | 21 ოქტომბერი. 2016 წელი | ფასი 50 თეთრი

## შემაჯამებელ ოქმს ხელი მოეწერა



2

## სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მიზნით

2



## FAB LAB-ის მენეჯერი ახალგაზრდა სამტრედიელი დოქტორია

3

## სიურპრიზი ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე

3

## გაეროს მისია მსოფლიოში მშვიდობისათვის ძალისხმევაა

## პროფესორი ვაჟა თვალავაძე 75 წლისაა

## ბრალდებისა გამო 60 წლის როლეხ გოგიშვილისთვის

5

## ანზორ მაჩიტიძის სახელობის მემორიალი




4

## ვაჟკაცური, ნაზი და ზუსტი პროფესიის მსახური

8

## ოქროთი დაჯილდოვებული ოქროს ჯაცი

6

## “რა ცოტა დროა და რა ბევრი წიგნი”

# შემაჯამებელ ოქმს ხელი მოეწერა







2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიამ 18 ოქტომბერს შეადგინა და მას კომისიის 13-ვე წევრმა ხელი მოაწერა. ეს ნიშნავს იმას, რომ ოფიციალურად არ არის გაფორმებული გამარჯვებული კანდიდატისა და გამარჯვებული პარტიის შედეგები. კანონის თანახმად შემაჯამებელი ოქმი საოლქო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღიდან 11 დღის ვადაში უნდა დაედო.

თუმცა მთელი ქვეყნის მასშტაბით წინასწარი შედეგები ცნობილია, რომლის მიხედვითაც სამტრედიის ოლქში მაჟორიტარად ''ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს'' კანდიდატი გრიგოლ მიქელაძეა არჩეული. შეგახსენებთ, რომ სამტრედიის ოლქს 8 მაჟორიტარი კანდიდატი ჰყავდა. საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებზე ამომრჩეველთა ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

41 ნომერი _ გრიგოლ მიქელაძე _ მიიღო 14 824 ხმა, რაც ამომრჩეველთა რაოდენობის 57,48 პროცენტია.

5 ნომერი _ ''ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' _ მერაბ ჯანელიძე _ 8564 ხმა, რაც 33,21 პროცენტია.

1 ნომერი _ ''პაატა ბურჭულაძე _ სახელმწიფო ხალხისთვის'' _ მაჟორიტარმა კანდიდატმა პაატა მანჯგალაძემ _ 928 ხმა, 3,60 პროცენტი.

27 ნომერი _ ''ირაკლი ალასანია _ თავისუფალი დემოკრატები'' _ ფატი მანჯგალაძე _ 414 ხმა, 1, 61 პროცენტი.

8 ნომერი _ ''დავით თარხან-მოურავი _ ირმა ინაშვილი _ საქართველოს პატრიოტთა ალიანსი _ გაერთიანებული ოპოზიცია'' _ შორენა ხარჩილავა, 394 ხმა, 1, 53 პროცენტი.

10 ნომერი _ შალვა ნათელაშვილი, ''საქართველოს ლეიბორისტული პარტია'' _ 376 ხმა, 1,46 პროცენტი.

26 ნომერი _ ''ეროვნული ფორუმი'' _ დიმიტრი სულაქველიძე _ 157 ხმა, 0,61 პროცენტი.

7 ნომერი _ ''თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის _ ზურაბ კვანტალიანი _ 64 ხმა, 0,25 პროცენტი.

პარტიული სიით გამოვყოფთ მხოლოდ 5 პარტიას, მათგან ''ქართული ოცნება _ დემოკრატიულ საქართველოს'' სამტრედიაში 13 879-მა ამომრჩეველმა მისცა ხმა, რაც 53, 83 პროცენტია.

''ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' 7 438-მა ამომრჩეველმა შემოხაზა, რაც 28, 85 პროცენტია.

''პაატა ბურჭულაძე _ საქართველო ხალხისთვის'' პარტიამ სამტრედიაში მიიღო 989 ხმა, რაც პროცენტებში 3,84-ია.

''ირაკლი ალასანია _ თავისუფალი დემოკრატები'' _ 729 ხმა, რაც საერთო ამომრჩევლის 2,83 პროცენტია.

''დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი _ საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია'' _ 639 ხმა, რაც 2, 48 პროცენტია.

ცესკოში სამტრედიის მაჟორიტარული ოლქი მთელი ქვეყნის მასშტაბით დასახელდა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ოლქი საჩივრების არქონის გამო.

75 ოლქიდან 50-ში მეორე ტური დაინიშნა, სამტრედია იმ დარჩენილ ოლქში შედის, სადაც გამარჯვებული მაჟორიტარი დეპუტატი პირველივე ტურში გამოვლინდა.

**ნინო ნანიტაშვილი**



# ნაიჩრევნებს

საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული ვნებათაღელვა ჯერაც არ ჩამცხრალა, თუნდაც იმიტომ, რომ რიგ საარჩევნო ოლქებში მეორე ტურია დანიშნული, მაგრამ იქ, სადაც შედეგები უკვე დაიდო, დროა იმ საკითხებზეც გაამახვილონ ყურადღება, რაზეც უკვე მერამდენედ ვწერთ.

წინასაარჩევნოდ თვალსაჩინო ადგილებზე განთავსდა არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიათა, სუბიექტთა სააგიტაციო მასალა.

განთავსდა და იმედია, მანამ არავინ ჩამოხსნის, ვიდრე ქარი, წვიმა, ნამქერი არ გააკეთებს იმას, რაც ჩვენ გვევალება.

წინა არჩევნების შემდეგ ქვეყნის მასშტაბით ამ საკითხს _ სააგიტაციო მასალისაგან ადგილების გათავისუფლებას აქციაც კი მიეძღვნა, მაგრამ როცა ჟურნალისტები გვიხმეს აქციის მიმდინარეობის გასაშუქებლად, იმთავითვე ცხადი გახდა, რომ აქცია ძირითადად აქციისათვის იყო გამიზნული?!

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სამტრედიაში ამომრჩეველმა არჩევანი გააკეთა.

დავყვები ყველაზე ავტორიტეტული თანამედროვე ქართველის, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორის მომწოდებლურად ნათქვამ სიტყვას, ნაარჩევნებს რომ წარმოთქვა და ვიტყვი, რომ ჩემთვის ერთნაირად ძვირფასები არიან ამ არჩევნებში გამარჯვებულნი თუ ხელმოცარულნი, ამდენად, ვერც ერთს ვერ გავიმეტებთ უხამს სიტყვათა მისაგებლად, რაც მათ ფოტოებს ემუქრებათ (მრავალწლიანმა უხამსმა პრაქტიკამ მიგვიყვანა ამ დასკვნამდე).

გარდა ამისა, არაა ლამაზი ქუჩებში, ფასადებზე ჩამოხეული, დაფხრეწილი ფოტოების ხილვა.

იქნებ პარტიათა ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებმა მაინც იფიქრონ ამაზე.

პოლიტიკური კულტურის შემადგენელ ნაწილად მიგვაჩნია ჩვენ ყოველივე.

თქვენ?

**ლევან გაბუჩავა**

# სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მიზნით

**ქეთევან ჭელიძე**

კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ 2013 წელს მიიღო სახელმწიფომ და შეეცადა, ერთი ქოლგის ქვეშ მოექცია წვრილი და საშუალო ფერმერები. ამით კიდევ უფრო იზრდება შესაძლებლობა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებისთვის.

უკვე შეიქმნა და ფუნქციონირებს მრავალი ასეთი კოოპერატივი. ისინი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოყვანითა და რეალიზაციით არიან დაკავებულნი.

სხვადასხვა საკითხში გათვითცნობიერებისა და მუშაობის უკეთ წარმართვის მიზნით მათთვის ხშირად ტარდება ტრეინინგები. ერთ-ერთი, რომელსაც ქალბატონი ია გოგოლაძე უძღვება, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ კოოპერატივების ფინანსურ საკითხებში გადამზადებაა. კონკრეტულად, დოკუმენტაციის სწორად წარმოება და კოოპერატივებთან დაკავშირებით საგადასახადო შეღავათების გაცნობა. ტრეინინგი, რომელიც დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტს მოიცავს, ნოემბრის ბოლომდე გასტანს. როგორც მან აგვიხსნა, ყოველ კვირას მასში 5-5 კოოპერატივის ხელმძღვანელები მიიღებენ მონაწილეობას.

ქალბატონი მარინა კანიაშვილი პროფესიით პედაგოგია. აბაშაში, სოფელ მარანში ცხოვრობს და 6 წელია, რამდენიმე ადამიანთან ერთად სოკოს წარმოებითაა დაკავებული. 3 წელია, მათ კოოპერატივი შექმნეს და ყოველწლიურად 10 ტონა პროდუქციას იწევენ. ქალბატონი მარინა ხშირად მონაწილეობს ტრეინინგებში, ამჯერადაც სიამოვნებით ჩაერთო პროექტში.

ბატონი იური კერელეიშვილი ოქტომბერში უკვე მეორედ იღებს მონაწილეობას კოოპერატორთა გადამზადებაში. იგი ვანში არსებული კოოპერატივის დირექტორია. კოოპერატივი ფერმერებს ბიოთხილის მოყვანასა და რეალიზებაში ეხმარება. წელიწადში ისინი 40 ტონა ბიოთხილს აწარმოებენ. შვეიცარიული კომპანიის მეშვეობით, რომელთანაც მემორანდუმი აქვს კოოპერატივს გაფორმებული, მათი პროდუქცია ევროპის ბაზარზე გადის და მოთხოვნაც დიდია.





კოოპერატივი ''ფერმერი 2015'' აბაშის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს და მარცვლეული კულტურების მოყვანით არის დაკავებული. ამ ეტაპზე ხორბალი ითესება. ძირითადად, ჰიბრიდული კულტურები მოჰყავთ.

ძალა ერთობაშიაო, ზვიად თავიდაშვილმა. დარწმუნებულია, კოოპერატივში გაერთიანებული 14 ადამიანი უფრო ნაყოფიერად გაართმევს თავს საქმეს.

ტრეინინგი ბატონი ზვიადისთვისაც მნიშვნელოვანია, ბევრ რამეს ვსწავლობთო.



# სიურპრიზი ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე

“საცხენოსნო კლუბის დირექტორს პავლე კაპანაძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღი იუბილარს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ორშაბათის ტრადიციული თათბირის ბოლოს მიულოცა. ვალერიანე ფოცხვერიამ დამსახურებულ სპორტსმენს ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში ფასიანი საჩუქარი და ფულადი ჯილდო გადასცა. წლევანდელ წელს პავლე კაპანაძისათვის ორმაგი დატვირთვა აქვს, მას იმავდროულად სპორტული მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა.

ეს იყო სიურპრიზი ააიპ “საცხენოსნო კლუბის” დირექტორისთვის, რომელიც საგანგებოდ მოიწვიეს ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე მონაწილეობისათვის. როგორც მოგვიანებით პავლე იხსენებს, მას წინა ღამე ფიქრებში გაუთენებია, რატომ იბარებდა მუნიციპალიტეტის გამგებელი. როგორც თავადვე აღნიშნა, მსგავსი საჩუქარი მისთვის არც ერთ ხელისუფალს არ გაუკეთებია. აღფრთოვანებულმა მადლობა მის მიერ წაკითხული ლამაზი ლექსით გადმოსცა.

ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე პავლე კაპანაძისათვის სიურპრიზის ინიციატორი და ორგანიზატორი გახლდათ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, ხელმძღვანელი ნატალია მანჯგალაძე.

ორშაბათის ტრადიციული თათბირი მაჟორულ ნოტაზე დასრულდა, იმდენად მოულოდნელი იყო დანარჩენებისათვის მსგავსი ფაქტი, რომ ყველა აღტაცებული ულოცავდა იუბილარს, პავლე კაპანაძეს დაბადების 70-ე და სპორტული მოღვაწეობის 50 წლისთავს.

***ნინო ნანიტაშვილი***

# FAB LAB-ის მენეჯრი ახალგაზრდა სამტრედიელი დოქტორია

**ნათია ნაცვლიშვილი**

***საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მხარდაჭერით ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მომავლის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია FAB LAB. იგი თანამედროვე ციფრული და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორიაა.***

**FAB LAB-ის მიზანია. იდეების გენერირება, გამოგონებების და საგანამანათლებლო პლატფორმის შექმნა, რომელიც წაახალისებს საქართველოში ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესს.**

FAB-LAB-ზე წვდომა აქვთ უნივერსიტეტის სტუდენტებს, ლექტორ-მასწავლებლებს, მეცნიერ-თანამშრომლებს, ასევე მოსწავლეებს, სამრეწველო პარტნიორებს და სხვა ნებისმიერ ნიჭიერ და ინოვაციური იდეის მქონე პიროვნებას.

4 ოქტომბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ღავთაძემ უნივერსიტეტის ახალი საბიბლიოთეკო კორპუსის საპრეზენტაციო ღონისძიებაზე სიგელები გადასცა “მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის ფესტივალ 2016”-ის მონაწილეებს. აწსუ V კორპუსის ღია სივრცეში ასევე წარმოდგენილი იყო აწსუ FAB LAB-ის გამოფენა.

მომავლის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის FAB LAB მენეჯერი იქნება სამტრედიის ინტელექტუალთა კლუბ “ინტერსტელარის” პრეზიდენტი, გიორგი ჩაჩუა. “სამტრედიის მაცნე” მას დაუკავშირდა და ახალ ამპულაში მყოფს კომენტარი სთხოვა:

“ტექნიკისადმი სიყვარული ბავშვობიდან მქონდა, როგორც ყველას, მეც მიყვარდა სხვადასხვა სათამაშოების და ნივთების გახსნა, შიგნიდან დათვალიერება, ხშირად დამიზიანებია კიდეც, მაგრამ კარგი ის იყო, რომ მშობლები ამას არასოდეს მიშლიდნენ. გაგიკვირდებათ და, კომპიუტერი პირველად უნივერსიტეტში ვნახე და მივხვდი, რომ სწორედ მას ვეძებდი. შემდეგ დავასრულე უნივერსიტეტი, გავაგრძელე მუშაობა კათედრაზე და დღემდე ვემსახურები სტუდენტების აღზრდა-განათლებას.

2005 წლიდან ვკითხულობ ლექციებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კომპიუტერული ტექნოლოგიების დეპარტამენტში, 2016 წელს დავიცავი სადოქტორო დისერტაცია და მომენიჭა საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი, რობოტტექნიკისა და ჩაშენებული სისტემების მართვის მიმართულებით.

გარდა პედაგოგიური საქმიანობისა, ჩემ კოლეგებთან ერთად აქტიურად ვარ ჩართული სხვადასხვა კონფერენციებში, გამოფენებსა და სიმპოზიუმებში, ალბათ, ამან განაპირობა ის, რომ როცა დაიგეგმა ჩვენს უნივერსიტეტში FAB LAB-ის გახსნა, მენეჯერის პოზიციაზე ჩემი კანდიდატურა შეირჩა.

FAB LAB-ში მუდამ აქტიურობაა, აქ ყველა ასაკის და თაობის ხალხი მუშაობს, ფიქრობენ, ახალ იდეებს აყალიბებენ, ჩვენი გუნდი მათ ეხმარება ამ იდეათა ხორცშესხმაში, ასე რომ, ნებისმიერ დაინტერესებულ პიროვნებას ველოდებით ჩვენთან, დარწმუნებული იყავით, არ ინანებთ ჩვენთან სტუმრობას”.





# გაეროს მისია მსოფლიოში მშვიდობისათვის ძალისხმევაა



სწორედ ამ მიზნით შეიქმნა, მეორე მსოფლიო ომის უმძიმესი შედეგების გათვალისწინებით, 1945 წლის შემოდგომაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

მაშინდელი მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები, სახელდობრ, ყოფილი საბჭოთა კავშირი იყო ორგანიზაციის შექმნის ინიციატორი.

არსებობის გრძელ მანძილზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო მისიათა (წარმომადგენელთა) ჩარევით მსოფლიოს სხვადასხვა წერტილებში განიმუხტა უაღრესად დაძაბული კონფლიქტები, რითაც მილიონობით ადამიანი გადაურჩა სიკვდილს, ფიზიკურ, მორალურ განადგურებას, სიდუხჭირეს.

მნიშვნელოვანია წვლილი, რომელიც გაეროს მშვიდობისმყოფელებმა შეიტანეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიმდინარეობისას 1993 წლის აგვისტოსა და შემდგომ განვითარებული მოვლენებისას.

მსხვერპლი, ნგრევა გაცილებით მასშტაბური იქნებოდა რომ არა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და გაეროს ძალისხმევა.

გაეროს წევრი სახელმწიფოა საქართველო, თავისთავად პატივი და ორმხრივი პასუხისმგებლობაა ყოველივე.

1945 წლის 24 ოქტომბერს შექმნილი გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მტკიცედ დგას მსოფლიოში მშვიდობის სადარაჯოზე, ცდილობს კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრას, ძალისხმევას არ იშურებს ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

24 ოქტომბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის დღეს, ორგანიზაციის ყველა წევრ სახელმწიფოში შესაბამისი ღონისძიებები გაიმართება.

და მაინც, მთავარი და ყოვლისმომცველი დოკუმენტი, რომელიც გაერომ მიიღო არსებობის მანძილზე, ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციაა, რომელიც 1948 წლის 10 დეკემბერსაა მიღებული და რომლითაც უზრუნველყოფილია პლანეტაზე მცხოვრები თითოეული მოქალაქის სრული თავისუფლება, უფლებები, მოვალეობები, რაღა თქმა უნდა, კანონის ფარგლებში.

**P.S.** გაეროს მოქმედ გენერალურ მდივანს უფლებამოსილების ვადა წლის ბოლოს ეწურება, ახალი გენერალური მდივანი კი ფუნქციის შესრულებას 2017 წლის 1 იანვრიდან შეუდგება.

***ლევან გაბიჩავა***

# ორენოვანი შემოდგომა ეწრის სკოლაში

ნათია ნაცვლიშვილი

***თამარ გრიგოლია ფონდ "თბილისის მოზარდთა სახლის" მისიის მოხალისეთა პროგრამის, კერძოდ, ახალგაზრდობის დახმარებისა და განვითარების პროგრამის დირექტორია. მისი თქმით, სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში გამართულ ღონისძიებას უმასპინძლა სოფელ ეწრის საჯარო სკოლამ (დირექტორი მიხეილ კოპალეიშვილი). პროგრამა სკოლაში 3 წელია მიმდინარეობს და იგი მოსწავლეების უფასო ჯანდაცვაზე, კვებაზე ზრუნვას გულისხმობს.***

საშემოდგომო ღონისძიებამ სკოლაში მართლაც მასშტაბური ხასიათი მიიღო. მას დაესწრნენ მისიის მოხალისეთა ჯგუფის წევრები, მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია, რომელიც მშობლიურ სკოლას სტუმრობდა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ნუგზარ ჯამბურია, თავმჯდომარის მოადგილე, კობა ძიძიგური, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, შალვა არზუმანიანი, გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, მიშა ლეჟავა, ასევე საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები.

ღონისძიება სკოლის სასწავლო ნაწილმა ციცინო ვერულეიშვილმა, მუსიკის პედაგოგმა ნინო ჭანჭალეიშვილმა, ინგლისურის პედაგოგებმა, ლალი მახაჭაძემ და სალომე სანიკიანმა სხვა პედაგოგებთან ერთად მოამზადეს. ამ სკოლაში პირველად გახლდით და შთაბეჭდილებები ძალზე მძაფრია. პირველი, რაც შეიძლება აქ მოსულს თვალში მოგხვდეს, ეს ამ სკოლის მოსწავლეთა მუსიკალურობაა. დღესდღეობით სკოლაში 109 მოსწავლე სწავლობს. საშემოდგომო ღონისძიებაში, რომელიც, ბუნებრივია, ქართულ და ინგლისურ ენებზე მიმდინარეობდა, სკოლის მთელი კონტინგენტი ჩაერთო.

მოეწყო შეჯიბრი სახელწოდებით "ნიჭიერი", ჟიურის შემადგენლობაში ამერიკელი სტუმრები იყვნენ. მოსწავლეებმა არაერთი სამადლობელი სიტყვა უთხრეს სპონსორებს, შემდეგ ქართული მრავალხმოვანი და ტკბილხმოვანი სიმღერებით დაუტკბეს სმენა, მისიის ჯგუფის ხელმძღვანელი გარი შნიბერგი იატაკზე გაწვა, მოხერხებულად რომ გადაეღო ვიდეოკადრები მეგრული სიმღერის შემსრულებელი გოგონებისათვის. ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა ანი კოპალეიშვილმა, სოსო ვეზდენმა, სალომე ჯულაყიძემ შესანიშნავი მუსიკალური ნომრები წარმოადგინეს, დებმა მარიამ და ანი კოპალეიშვილმა ფორტეპიანოზე კონკურსგარეშე შესრულებული ნაწარმოებისთვის ბევრი ემოცია და ტაში დაიმსახურეს. ბავშვებმა იცეკვეს მთიულური და ხევსურული ცეკვები. პედაგოგ მერი ტკავაცირიას მოსწავლეებმა, რომლებიც ფანდურზე შესანიშნავად უკრავენ, შექმნეს ჯგუფი "2+1". წარმოდგენილი მრავალი საინტერესო ნომრით სტუმრები მართლაც მოიხიბლნენ. ასევე გაახალისა პუბლიკა მოსწავლეთა დიზაინერულმა ნამუშევრებმა. სპონსორებმა ისინი ქსოვილებით მოამარაგეს, ბავშვებმა კი სამოსი ტანზე მოირგეს და მრავალფეროვანი კოლექცია, წარმოადგინეს. სტუმრებს მე-6 კლასელებმა საკუთარი ხელით შესრულებული კომპოზიცია "ჩვენი ეზო" წარმოუდგინეს.

მრავალი საინტერესო ნომინაციის შემდეგ ჟიურიმ საპრიზო ადგილებზე გასული გამარჯვებულები გამოავლინა. I ადგილი გაიყო და ვოკალისა და დიზაინის განხრით ორი გამარჯვებული გამოვლინდა. მე-11 კლასელი ანი კოპალეიშვილი დაჯილდოვდა უიტნი ჰიუსტონის სიმღერის "I have nothing" უზადო შესრულებისათვის. VIII კლასელი მარი კოპალეიშვილი კი დიზაინერული ნამუშევრებისათვის მათ გადაეცათ ლექსიკონები და სხვა საჩუქრები. II ადგილზე სალომე ჯულაყიძე გავიდა ლარა ფაბიანის სიმღერის შესანიშნავი შესრულებისათვის. III ადგილზე კი, თინათინ ჩოგოვაძე გავიდა საუკეთესო ქორეოგრაფიული ნამუშევრისათვის.

"სამტრედიის მაცნემ" ღონისძიების შემდეგ კომენტარი სთხოვა სტუმრებს.

ვალერიანე ფოცხვერია: "ეს ჩემი სკოლაა. ამერიკელები ასპონსორებენ აქ სხვადასხვა მიმართულებას, უკვე ტრადიციად იქცა ღონისძიებები ამ პროგრამის ფარგლებში, თავადვე იყვნენ სპონსორები ჟიურის წევრები და ბავშვებს საჩუქრები გადასცეს. ძალიან დადებითი მუხტი მივიღეთ ყველამ, მოხარული ვარ, აქ ამდენი ნიჭიერი ბავშვი რომ არის".

კობა ძიძიგური: "ბევრი ნიჭიერი ბავშვი აღმოვაჩინე დღეს: დები კოპალეიშვილები, სალომე ჯულაყიძე, ბევრი საოცრად ნიჭიერი ბავშვია, არა მარტო ეწრის და სამტრედიის, საქართველოს ნებისმიერ სკოლას დაამშვენებდნენ ასეთი ბავშვები".

ალექსანდრე თევზაძე, რესურსცენტრის უფროსი სპეციალისტი, პედაგოგი: "რა თქმა უნდა, ამ არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლობა ეწრის საჯარო სკოლასთან ძალიან წარმატებულია, აქტივობები, რომლებსაც ეს ორგანიზაცია სკოლაში ახორციელებს, ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას, ბავშვების მომზადება და დღევანდელი ღონისძიება დასტურია იმისა, ამ მცირე კონტინგენტით როგორ შესძლეს წარმოედგინათ ასეთ მაღალ დონეზე სხვადასხვა აქტივობა. მადლობა ამ ორგანიზაციას თანამშრომლობისათვის და ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს. სკოლაში ბევრი რამ კეთდება, ეტაპობრივად სამინისტრო აკეთებს ყველაფერს".

მიხეილ კოპალეიშვილი: "მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს სპონსორებს ყველაფრისთვის, მოსწავლეებს აქვთ უფასო სამედიცინო მომსახურება, წელიწადში 2-ჯერ მოდის ექიმების ჯგუფი და უტარებენ ბავშვებს უფასო გამოკვლევებს, ავადმყოფობის შემთხვევაში უზრუნველყოფენ მედიკამენტებით, ექოსკოპიური გამოკვლევების საჭიროების დროს ქუთაისის კლინიკურ ცენტრში უტარებენ გამოკვლევებს. უფინანსებენ ოპერაციებს, მოსწავლეებს ამარაგებენ საზამთრო ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით".

ძალზე კმაყოფილი იყო თამარ გრიგოლია, მისი თქმით, ეს იყო მართლაც საუკეთესო ღონისძიება, მისიის მოხალისეთა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, რიჩარდ ჰოლმსი აღფრთოვანებას ვერ მალავდა. საქართველოსადმი სამადლობელი სიტყვები არც მან დაიშურა და აღნიშნა, სადღეგრძელოს თქმის ქართული ტრადიცია ამერიკაში მიგვაქვსო. ის მომავალი წლის მაისში მეუღლესთან ერთად ჩამოსვლას აპირებს. ბევრი გულთბილი ემოცია გაცვალეს სტუმრებმა და მასპინძლებმა და კიდევ ბევრი ლამაზი ღონისძიება დაგვიანონსეს.











# მსოფლიოს სუფთა ხელები

15 ოქტომბერი მსოფლიოში ხელების დაბანის დღედ არის აღიარებული. ამ თარიღს გამოეხმაურა ქალაქის № 11 ბაგა-ბაღის მმართველი ჟოზეფინა კარტოზია. მათ ეს დღე დაუკავშირეს პროექტს "აქცია სუფთა ხელები".

აღმზრდელმა მაია მეგენეიშვილმა ბავშვებთან განიხილა ყველა ის აქტივობა, რომელთა დასრულების შემდეგ აუცილებელია ხელების დაბანა, კერძოდ: ეზოში თამაში, საპირფარეშოს მოხმარება, ცხოველებთან თამაში. ხელების დაბანა აუცილებელია ასევე კვებისა თუ კულინარული აქტივობის დაწყებამდე და დამთავრების შემდეგ. აღმზრდელმა ისაუბრა ფრჩხილების ჰიგიენაზეც. როგორ ვიბანთ ხელებს? _ ჰკითხა მან აღსაზრდელებს. "ბავშვებო, ერთი შეხედვით ხელების დაბანა ძალიან მარტივი პროცედურაა, თუმცა იგი 10 პატარა "ნაბიჯისაგან" შედგება. აღმზრდელმა ისევ ჰკითხა ბავშვებს: "რა გვჭირდება ხელის დასაბანად?" "საპონი, თბილი წყალი" _ ერთხმად უპასუხეს ბავშვებმა. "ბავშვებო, იცოდით, რომ თურმე ხელის დაბანის დროს ყველაზე მეტად ცერა თითი "გვრჩება?" დაბანის დროს ასევე "გვრჩება" ფრჩხილები, რადგან ხშირად ვერ ვისაპნავთ.

აღმზრდელმა ბავშვებს წარმოუდგინა 10 ნაბიჯი, რომელიც უნდა გადაიდგას ხელების დასაბანად, თან დასძინა: "მოდით "10 ნაბიჯი` სიმღერად ვაქციოთ მან ბავშვებთან ერთად სიმღერით გაითამაშა ხელების დაბანა. სულ მცირე 20 წამის განმავლობაში მიმდინარეობდა ეს პროცედურა.

უფროსმა ექთანმა თამილა ნიკურაძემ ესაუბრა ბავშვებს ჭუჭყიანი ხელებით გამოწვეული დაავადებების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ჭუჭყიანი ხელების პირში ჩადებამ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა დაავადებები: მუცლის ტკივილი, ქავილი უკანა ტანის არეში და საშარდე ბუშტის ინფექციები, ასევე, პარაზიტების მომრავლებაც. ამიტომ ხშირად უნდა ვიბანოთ ხელები, ისე როგორც მაია მასწავლებელმა გასწავლათ. უნდა შეასრულოთ ხელის დაბანის 10 წესი.

აქციის დასასრულს ბავშვებმა მაკრატლით გამოჭრეს ქაღალდისაგან სუფთა ხელები და გამოაკრეს სტენდზე. ასევე გაუშვეს ჰაერში საპნის ბუშტები, რომლებიც ნაირფერად აელვარდა. ამ უკანასკნელმა აქცია კიდევ უფრო მხიარული და ემოციური გახადა.

ამგვარად, ბავშვებმა აქციაზე შეისწავლეს ხელების დაბანის 10 სტრატეგია. ეს დღე მათ არასოდეს დაავიწყდებათ.

ხათუნა გაგუა, დირექტორის მოადგილე:

"ეს იყო ჩვენი მორიგი გასვლა, დათვალიერება, თუ როგორ მიმდინარეობს მე-11 ბაგა-ბაღში აღმზრდელობითი პროცესი. დავესწარით დაუგეგმავ აქციას, 15 ოქტომბრის გამოხმაურებას "მსოფლიოს სუფთა ხელები" აქციისთვის აღმზდელს გამოყენებული ჰქონდა თემა ჰიგიენა. აღმზრდელებმაც და ბაგა-ბაღის მმართველებმაც შესანიშნავად გაართვეს თავი ყოველივეს. პატარებს თამაშ-თამაშით შეასწავლეს, თუ როგორ უნდა დაიცვან პირადი ჰიგიენა და როგორ დაიბანონ ხელები. ამისთვის მადლობას ვუხდით მე-11 ბაგა-ბაღის მმართველს ქალბატონ ჟოზეფინა კარტოზიას და აღმზრდელს მაია მეგენეიშვილს".

ნინო ნანიტაშვილი





# პროფესორი ვაჟა თვალავაძე 75 წლისაა

**ლევან გაბეჩავა**

***"სამტრედიის მაცნეს" რედაქციაში მისი სტუმრობა ყოველთვის სასიამოვნოა. ბატონი ვაჟა ხშირად ეწვევა ხოლმე მშობლიურ რაიონს, მოინახულებს ახლობლებს და ისე დედაქალაქისაკენ გული არ უწევს, რედაქციაში არ შემოგვიაროს.***

***ასე იყო 17 ოქტომბერსაც, პროფესორი გვეწვია და საუბარიც, როგორც ყოველთვის, ჩინებულად აეწყო.***

***ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი 60-მდე სამეცნიერო შრომის, მრავალი მონოგრაფიისა და საყურადღებო, საყოველთაოდ აღიარებული წიგნის ავტორი ამჯერად სამტრედიას კეთილი მისიით ეწვია.***

პროფესორმა დანაპირები შეასრულა და სამტრედიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს მეტად საჭირო მდიდარი დოკუმენტური მასალა გადასცა, რითაც შეივსო მუზეუმის ფონდი, წლების შემდეგ ამ მასალით სარგებლობას შეძლებს ყველა, ვინც კი გადაწყვეტს, საფუძვლიანად შეისწავლოს სამტრედიისა და არა მარტო სამტრედიის ისტორია.

საკანდიდატო დისერტაცია ბატონმა ვაჟამ "გერმანიის ახალი ისტორიის საკითხებს" მიუძღვნა, რომელიც შემდეგ რუსულ ენაზე წიგნად გამოიცა.

რაც შეეხება სადოქტორო დისერტაციას, თემად მშობლიური რაიონის ისტორიის კვლევა აირჩია. მერე ბრწყინვალე წიგნიც ვიხილეთ მისივე ავტორობით, რომელშიაც სრულად და ყოვლისმომცველადაა მოცემული სამტრედიის, როგორც დასახლებული პუნქტის, ცალკეულ სოფელთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეტაპები. საინტერესოდაა მოთხრობილი სახალხო დღესასწაულებთან დაკავშირებულ ტრადიციებზე, უხვადაა ცნობები დაბის, ქალაქის თვითმმართველობის შესახებ და ა. შ. ერთი სიტყვით, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ წიგნით გამოცემის დღიდან ათასობით ადამიანმა ისარგებლა და აღიარეს კიდეც მისი საჭიროება, ავტორის დიდი ინტელექტი, ერუდიცია და მკვლევარ-ისტორიკოსისათვის აუცილებელი სიდინჯე, რაღა თქმა უნდა, რიგი დასკვნების გამოტანისას.

წლების მანძილზე ბატონი ვაჟა წარმატებით მოღვაწეობდა საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში, სადაც მისი არაერთი სახელმძღვანელო წიგნი ისწავლება უმაღლესი სკოლებისთვის რომ იყო განკუთვნილი. მიწვევები არაერთხელ ჰქონდა გერმანიასა და საზღვარგარეთის სხვა სახელმწიფოებში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია პროფესორის მოღვაწეობა, აქტიურობა თანამედროვე პერიოდულ გამოცემებში. მის მიერ მომზადებულ, დაუნჯებულ საგაზეთო პუბლიკაციებში ჩანს მამულის ბედზე მიყურადებული ჭარმაგის ომახიანი შეძახილი, ზომიერი კრიტიკა, ზომიერივე ქება საქებრისა და ხშირად, დიახ, ხშირად კრიზისიდან გამოსვლის მისეული მეთოდებიც ტაქტიანადაა ხოლმე მინიშნებული.

ღვაწლმოსილი პროფესორი უქმად არც ამჯერადაა, ხშირად აქვს მიწვევები ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში და ისიც მდიდარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას უშურველად, დაუზარებლად უზიარებს ახალბედა სპეციალისტებს, ბოლომდე იხარჯება სტუდენტობისათვის.



რაკი არ მომეშვით და ჩემზე წერილს ამზადებთ, გთხოვთ, ჩემი დიდი სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატვის საშუალება მომეცით გაზეთის მეშვეობით ჩემი ლეგენდარული პედაგოგებისადმიო, – გვთხოვა რესპონდენტმა და უდიდესი სითბოთი ისაუბრა ბატონების: შალვა ჩიხლაძის, ჟორა კახიანის, ანდრო კანდელაკის, ქალბატონ ვერა მამფორიასა და სხვა მის ყოფილ პედაგოგთა მისამართით, განსაკუთრებული სიყვარულით კი პირველი მასწავლებელი თამარ ალავიძე გაიხსენა.

მეუღლე ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი ულამაზებს ჩვენს რესპონდენტს ხანდაზმულობის წლებს.

მეუღლე ქალბატონი ნანა ბუხაიძე პედაგოგია. ერთი ვაჟიშვილი ისტორიკოსი, მეორე კი ეკონომისტია. რძალი სალომე დუნდუა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია, ეამაყება ბატონ ვაჟას პროფესორი რძალი, მისი ყოფილი სტუდენტი რომაა.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველკურსელია უფროსი შვილიშვილი ანა, სანდრო საქართველოს ჩემპიონია ხუთჭიდში ასაკობრივ ჯგუფში, მარი თბილისის ჩემპიონია ჭადრაკში, ყველაზე პატარა შვილიშვილი ერეკლე კი საბავშვო ბაღში დადის, ის ჯერ 5 წლისაა.

ბევრის მნახველ პროფესორს მოსაგონებული ბევრი აქვს.

იხსენებს ბავშვობის წლებს, მშობლიურ სკოლას, მშობლიურ უბანს. ბავშვობასთან შესახვედრად სამტრედიიდან თბილისში ისე არ წავა, სკოლა არ მოინახულოს, ის გზა არ გაიაროს სახლიდან სკოლამდე ყოველ დილით რომ დადიოდა მოწაფეობისას.

უნივერსიტეტში რომ ვაბარებდი გამოცდებს 20 შესაძლებლობიდან 19 ქულა მოვაგროვე, ისტორიის ფაკულტეტზე 40 პირველკურსელიდან 8 ვიყავით მხოლოდ იმ წელს სკოლადამთავრებული, დანარჩენები კი 2 და მეტი წლის სტაჟის მქონენი იყვნენო. – იხსენებს ბატონი ვაჟა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სამტრედიის ისტორიის შესწავლას მიუძღვნა ჩვენმა რესპონდენტმა სადოქტორო ნაშრომი. შემთხვევით არ მომხდარა ეს. სამტრედიისა და სამტრედიელების სიყვარულით იყო ყოველივე განპირობებული.

ყოველი წარმატება, მიღწევა, რაც სამტრედიასა და სამტრედიელებს უკავშირდება, განუზომელ სიხარულს ჰგვრის დედაქალაქში დამკვიდრებულ სამტრედიელ კაცს.

თხოვნა, მოკრძალება, ზომიერი კატეგორიულობა იგრძნობოდა მის ნათქვამში შვილიშვილების, შვილების თაობებისადმი – უფრო მეტად შევიყვაროთ, შევისისხლხორცოთ, გავუფრთხილდეთ ქართულ ადათ-წესებს, ისტორიას, კულტურას.

პოლიტიკით, ქვეყანაში არსებული ვითარების პროფესორისეული ხედვითაც დავინტერესდით და გვითხრა: საქართველო გაცილებით რთული ვითარების წინაშეც მდგარა, ყველაფერი რიგზე იქნებაო.

ენაწყლიან მოსაუბრეს, სასურველ სტუმარს განსაკუთრებული სითბოთი დავემშვიდობეთ.

ამ დღეებში პროფესორი ვაჟა თვალავაძე 75 წლისა ხდება.

სულითა და გულით, ვულოცავთ მას ლამაზ იუბილეს, ხანგრძლივ სიცოცხლეს, წარმატებებს ვუსურვებთ ნაყოფიერ მოღვაწეობაში!

# ბრალდებისა გამო 60 წლის როლეზ გოგიშვილისთვის

**თეა ბაბუნაშვილი**

"საბრალდებო დასკვნა" თეატრის სცენაზე ყველაზე უწყინარი საკნით დედამიწაზე, ისეთი, "ჰეროკრატიის" ნახვის შემდეგ საკუთარი სურვილით რომ ჩაჯდებოდი.

კიდევ ერთხელ გამოტანილი "საბრალდებო დასკვნა". მკვეთრმა შუქმა ისევ მოაჭუტინათ თვალი. "ასეთია ქურდი კაცის ბედიო", საკუთარ იღბალს დასტიროდნენ სიმღერით. მერე კი ერთი მართალი კაცი დახვდათ საკანში, დროებით გაყვანილ და კვლავ უკან დაბრუნებულ პატიმრებს. "მართალი კაცის დაჭერაა ადვილი თორემ..." სარკასტულობა არც ამ ეპოქაში დაუკარგავს გამოთქმას, ყველა დროში აქტუალურს. "დარჩა კიდევ ვინმე გარეთ?" – ეს უკვე გარდასული რეალობაა, სულ რამდენიმე წლის წინ წარსულს ჩაბარებული ამბავია, დღეს სადავოდ გამხდარი კანონიერება-უკანონობასა და მართებულობა-უმართებულობას შორის. დედამიწაზე ყველაზე დიდი სამი გამოგონების: ანბანის, დროშისა და ჰიმნის შეხსენებაც დროულთან ერთად მიგნებული გახლდათ სცენიდან ახლად არჩევანგაკეთებული ქვეყნის, ქალაქისა და მუნიციპალიტეტისთვის. სულ პატარა ფრთები აკლდა თორემ... ალბათ, მართლა გაფრინდებოდა შოშია იმ შენობის საკნიდან, რომელზეც მერცხლები ბუდეს არასოდეს იკეთებენ, თორემ ფული, ფული ვერც წარმოიდგენთ, რამდენია იქ, საიდანაც მხოლოდ ხელის შეჰყოფა და გამოღება სჭირდება. ტიგრან გულოიანის გულუბრყვილო გაოცებას, "მხოლოდ ხელს შეყოფ და გამოიღებ?" ლომის უკანალის



ხსენებამ ცივი წყალი გადაასხა. არადა, დღევანდელობამ რამდენს გამოაღებინა იქედან ბევრი, ბევრი ფული, ზოგს უმტკივნეულოდ, ზოგს შრომით და ზოგსაც ბრძოლით.

საკანში ულამაზესი, გარეთ კი ჩვეულებრივი გოგო არ დაგელოდოს იქნებ, თუ არა, დედა? დედა ყოველთვის დაიცდის, რადგან ციხეში შვილი ელოდება ახალი, ხავსს მოსაჭიდებელი ამბით. საკუთარი სუფრიდან სასროლი ბოთლის სხვისაზე მოსაძებნად წასული კაცის გამოც, ბევრი ითქვა სცენიდან და სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან, ნოდარ დუმბაძის "თეთრი ბაირაღები" გააცოცხლა რეჟისორმა და კიდევ ერთხელ შეახსენა სიამოვნებით გატრუნულ დარბაზს, რომ "ადამიანი მონასტრის კედელზე გამოსახული ფრესკა არ არის, რომ მხოლოდ ერთი მხრიდან უყურო... ...დასაბამიდან ყველა დროშა თეთრი იყო, თეთრი სპეტაკი... ერთი დიდი თეთრი ბაირაღი უნდა ფრიალებდეს ამაყად ჯომოლუნგმაზე, ნიშნად უსაზღვრო სათნოებისა, სიკეთისა და სიყვარულისა, ერთი თეთრი დროშა, ვეებერთელა თეთრი ბაირაღი!"

ეროსი მანჯგალაძის სახელობის დრამატული თეატრის სცენა ამჯერად რეჟისორის იუბილეს აღნიშნავდა "საბრალდებო დასკვნით". დიახ, ეს ამ სპექტაკლის რეჟისორის, უკვე 60 წლის როლეზ გოგიშვილის საბრალდებო დასკვნა გახლდათ, ბრალდებისა გამო... და კარგი კაცობა, მამულიშვილობა, 45 წლის განმავლობაში სცენის მტვერის განუზომელი სიყვარულით ყლაპვა, ეროვნული მოძრაობის მედროშეობა წაუყენეს "ბრალდებად". მასზე ბევრმა ბევრი ილაპარაკა. კიდევ მეტი ყოველდღე ამბობს, იხსენებს. მოგონებები არც იმ სცენაზე გამომსვლელებს ელეოდათ. რაც შეეხება "საბრალდებო დასკვნას", გასული თეატრალური სეზონი იმერეთის თეატრალურ ფესტივალზე მიღებული პრიზებით და დიდი წარმატებით დახურა. არაერთხელ ნახა მაყურებელმა ეს სპექტაკლი და ისიც იცის, 1973 წელს სამტრედიის სცენაზე პირველად ტარიელ ხაჟალიას მიერ დადგმული ეს პიესა, სადაც მთავარ როლს თავად თამაშობდა, როლეზ გოგიშვილმა რომ გააცოცხლა და იმ ადამიანების ხსოვნას მიუძღვნა, ვინც მაშინ მასში თამაშობდნენ და დღეს ცოცხალი აღარ არიან. სხვებთან ერთად რეჟისორს იუბილე იმ ქალბატონებმაც მიულოცეს, დედის როლს რომ ასრულებდნენ მაშინ, როცა ბატონი როლეზი ზაზა ნაკაშიძე იყო. მას მერე დღემდე დედას ეძახის ორივე ქალბატონს, მზია ჩიხლაძესა და ჟუჟუნა ნიკურაძეს. იხსენებს იუბილარი საკუთარი დედის სიტყვებს, ბედნიერი კაცი ხარ, სამი დედა გყავსო. მართლაც ასეა, დღესაც "ნენაა" მისთვის ორივე ქალბატონი.

იუბილე, რა თქმა უნდა, სცენიდან და სცენაზე მიულოცეს მეგობრებმა, კოლეგებმა, თანამებრძოლებმა. განსაკუთრებით თანამებრძოლებმა, რადგან იმ სცენაზე მის გარდა კიდევ ორი მათგანი იდგა, არა მხოლოდ თანამებრძოლის, პარტნიორის ამპლუაში. იმ საღამოს რადი შენგელია ტიგრან გულოიანი კიდევ ერთხელ გახდა როლეზ გოგიშვილისთვის, გია სტურუა კი მეზობელი სახლშიც და საგვარეულო სასაფლაოზეც, გარდა ეროვნული მოძრაობის ბატალიებში მის გვერდით დგომისა, ძია ისიდორედ იქცა მის საიუბილეოდ. ჯერ კიდევ ბავშვობიდან დაწყებული მათი ნაცადი სიყვარულის გამო, ყველა ისიდორეზე ჯიგარი იყო იმ სცენაზე ძია ისიდორე! თანამებრძოლების სახელით ბევრი რამ გაიხსენეს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგურმა და ჯონი ნადირაძემ. თბილი სიტყვები არ დაიშურა მისთვის მუნიციპალიტეტის გამგებელმა სამტრედიელ თეატრალებთან ერთად გატარებული წარსული გაიხსენა და იუბილარი რეჟისორი გულითადად დალოცა სამტრედიის ახლად არჩეულმა მაჟორიტარმა გია მიქელაძემ.

ითქვა ბევრი ნაღდი და თბილი სიტყვა, ყველა მოგონება კაი კაცობის დასტური იყო. ეს იმიტომ, რომ როლეზ გოგიშვილს მიულოცა სამტრედიამ 60 წლის იუბილე, ეროსი მანჯგალაძის სახელობის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, რეჟისორს, მსახიობს, ეროვნული მოძრაობიდან მოსულ კაცს, როლეზ გოგიშვილს, კიდევ ბევრჯერ რომ უნდა აახმიანოს მაყურებლის ტაშით, თეატრალური ტრადიციებით მდიდარი სამტრედიული სცენა და თავადაც ამ ღირსეული ტრადიციების შემადგენელ ნაწილად რომ უნდა დარჩეს.

# ოქროთი დაჯილდოვებული ოქროს კაცი

თეა ბაბუნაშვილი

# საქმე თუ გიყვარს, არ დაიღლები

**მიხეილ სულაქველიძე ჩვენი რესპონდენტი ამჯერად მაკედონელის 16 გრამიანმა ოქროს მონეტამ გახადა. სამტრედიელებისთვის მას განსაკუთრებული გაცნობა არ სჭირდება, უბრალოდ იმაზე მოგიყვებით, რაც შეიძლება, ბევრმა არ იცოდეს. მიუხედავად იმისა, რომ არაერთ ექსპედიციაში მიუღია მონაწილეობა, პროფესიით არქეოლოგს, ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, მშობლიურ სამტრედიაში დაბრუნებულს, 30 წლის საკლასო ოთახში გატარება მოუწია. იგი მე-12 საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგია ამავე სკოლის მათემატიკის წარმატებული მასწავლებლის, ელზა ხუჭუას მეუღლე და მე-12 საჯარო სკოლის ერუდიციით ცნობილი კურსდამთავრებულის, უკვე სტუდენტის, ბექა სულაქველიძის მამა. წერილის ამგვარი დასაწყისი იმიტომ, რომ თავიდანვე ცნობილი გახდეს მკითხველისთვის, მასში მოთხრობილი ამბის ძირითადი თემა, განათლება, ინტელექტი, ერუდიცია და პედაგოგისთვის დამახასიათებელი დიდაქტიკა იქნება.**

### ჯერ კიდევ სტუდენტობაში ...

"კვირის პალიტრისა" და ეროვნული მუზეუმის ინიციატივითა და ხელშეწყობით, რომელიც ძველი მონეტების პოპულარიზაციას უწყობს ხელს, ნუმიზმატიკით დაინტერესებულთათვის, და არა მარტო მათთვის, საინტერესო პროექტი მესამე თვეა მიმდინარეობს. უკვე მეოთხე მონეტის იმიტირებული ვარიანტი მივიდა მკითხველამდე, იგი მაკედონელის დროინდელი სტატერის საქართველოში არსებული ასლი გახლდათ. "კვირის პალიტრასთან" ერთად შეიძინა მიხეილ სულაქველიძემ და გათამაშებაში 16 გრამიანი, 585 სინჯიანი, ანუ ნამდვილი ოქროს მონეტა ხვდა წილად, ზუსტად ისეთი, როგორიც მაკედონელის დროს იყო იგი. საერთოდ, "კვირის პალიტრა" ის გაზეთია, ინტენსიურად რომ ეცნობა პედაგოგი.

მიუხედავად იმისა, რომ არქეოლოგიის მაგიერ პედაგოგიკაში მოუწია პროფესიონალიზმის გამოვლინება, არაერთი ექსპედიციის მონაწილეა მიხეილ სულაქველიძე. ჯერ კიდევ სტუდენტობაში, 1982 წელს ბედერის მთაზე განხორციელებულ გათხრებში გახლდათ ჩართული, 1983-ში მარტყოფის ყორღანი გათხარეს, ორი წლის მანძილზე, 1987-88 წლებში იყო უფლისციხის არქეოლოგიური გათხრების მონაწილეც. იხსენებს, რომ უნივერსიტეტში კორიფეები ასწავლიდნენ: "მაგალითად, ბატონი ოთარ ჯაფარიძე. ისტორია ბავშვობიდან განსაკუთრებით მაინტერესებდა. ამიტომ ავირჩიე ეს ფაკულტეტი და შემდეგ სპეციალიზაციის არჩევისას უპირატესობა არქეოლოგიას მივანიჭე." _ ამბობს იგი. აქვე იმაზეც, რომ მაშინ, 1980-81 წლებში, ეროვნული მოძრაობის დაწყებამდე ერთი შეხედვით ადრე, ჩანასახები ეროვნულობის განსაკუთრებული განცდისა უნივერსიტეტიდან მოდიოდა. და ეს ასე იყო ყოველთვის, უნივერსიტეტი დღემდე არის ეროვნულობის მექა. ამ მუხტის სათავე ყოველთვის ისტორიის ფაკულტეტი გახლდათ, სადაც ქართველოლოგიურ, ანუ საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის და არქეოლოგიის შემსწავლელ ჯგუფებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ჰქონდა ამ კუთხით. ჩვენი რესპონდენტის არჩევანი არქეოლოგიაზე შეჩერდა. "და იმიტომ, რომ არქეოლოგია ქართველთა გენეზისის, ანუ ერის ისტორიის ჩამოყალიბების სათავეებთან დგას და სწავლობს მას. ჩემი ინტერესი უფრო ადრინდელი ეპოქა იყო. მასში მთავარია კულტურული და სოციოლოგიური განვითარების ხაზი არ გაწყდეს. ქართველი ერის ევოლუციისას კი ეს ხაზი არ გაწყვეტილა. ზოგადად კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოს ტერიტორიაზე არაერთი უნიკალური აღმოჩენის მომსწრენი აქამდეც ვყოფილვართ და ამიერიდანაც ვიქნებით. ქართული მიწის ყოველი გოჯი დიდ საიდუმლოს ინახავს და ეს არ არის პათეტიკა. ადამიანის პრიმატიდან, ანუ ცხოველიდან გამოყოფის ადგილი შეიძლება იყოს აფრიკა, კენია და მისი მიმდებარე ტერიტორიები, მაგრამ არ გამორიცხავენ, რომ ეს კავკასიაც არის." _ საინტერესოდ საუბრობს არქეოლოგი პედაგოგი, ამიტომ მასთან საუბარი ჩვეულებრივ ჟურნალისტურ ჩანაწერს გასცდა.



### თურმე

ისიც შევიტყვეთ, რომ "პურის ველური მცენარიდან გაკულტურება სწორედ საქართველოში მოხდა. ესე იგი, კაცობრიობის გადამრჩენი "პური ჩვენი არსობისა" სწორედ აქედან მიიღო სამყარომ. პურის უძველესი ჯიშებიდან ოთხი ქართული კულტურაა, ანუ საქართველოში მოდის. ინგლისში არსებულ ღვინის მუზეუმში, სადაც ყოველთვის ეწყობა გამოფენა, ერთ-ერთი პატარა პავილიონი ქართულ ღვინოს ეძღვნება და მითითებულია, რომ ღვინის ქვეყანა სწორედ საქართველოა, აწერია: "საქართველო ღვინის სამშობლო." ქართული ენა თავის თავში დიდ საიდუმლოსთან ერთად ბევრ საგულისხმო ცნობას ატარებს. მაგალითად ღვინო, რუსულად "ვინო", გერმანულად "ვაინ", ინგლისურად "ვინ"... ეს ყველაფერი ხომ ქართული ღვინო-დან წავიდა. იუნესკომ ქვევრი დაარეგისტრირა, როგორც უძველესი ქართული ჭურჭელი. როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში ხოხბის კულტია. იგი ევროპაში გავიდა როგორც ქართული ქათამი და მას ლათინურად თურმე "ფაზამ", ანუ ფაზისური ჰქვია. საქართველოდან გავიდა რკინა დანარჩენ მსოფლიოში. მოწმენდილ ცაზე ვიტყვით, მოჭედილია. ეს სიტყვაც რკინის წარმოებასთან, ჭედვასთან არის დაკავშირებული. ქართული დასახელებაა ბრინჯაო, იგი საქართველოდან გავიდა და სხვა ენებშიც მისი სახელი ამ სიტყვას უკავშირდება. ეს დამადასტურებელია იმისა, რომ მსოფლიოში პირველი მეტალურგები ვართ. ასევე შეიძლება ითქვას ფოლადზეც. აი, ასეთი წყაროებიდან იწყება არქეოლოგია და მისი ისტორიის გარეშე განხილვა წარმოუდგენელია. იგივე შეიძლება ითქვას ეთნოგრაფიაზეც."

### პესიმისტურად განწყობილების საიმედოდ

იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ საუბარმა ლექციური სახე მიიღო, მაგრამ მიშა მასწავლებელი საინტერესოდ საუბრობდა კიდევ სხვა ბევრ თემაზე და სიტყვაც ამიტომ გავაგრძელეთ. მომავალი თაობების განათლებისადმი პესიმისტურად განწყობილების საიმედოდ, პედაგოგი, რომელსაც ყოველდღიური შეხება აქვს მოსწავლეებთან, თვლის, რომ მათ ისტორია აინტერესებთ და გაკვეთილს ყურადღებით უსმენენ. "ასე იყო ყოველთვის, ოთხი-ხუთი განსაკუთრებულად სწავლობდა კლასში, დანარჩენები კი ზოგად განათლებას იღებდნენ გაკვეთილებზე მიღებულ-მოსმენილი ცოდნით. ასე რომ, ამ მხრივ დიდი არაფერი შეცვლილა." თვლის იგი. "ძალიან ცუდად ნამდვილად არ გვაქვს საქმე იმით, რომ ახალგაზრდობა წიგნს ნაკლებად კითხულობს. ჩემი, ჩემი წინამორბედი და შემდგომი თაობებისთვის წიგნი და გაზეთი გახლდათ ინფორმაციის მიღების ერთადერთი წყარო. ახლა კი კომპიუტერულმა ტექნიკამ, თანამედროვე ტექნოლოგიებმა შეცვალა. ინფორმაციას სწორედ აქედან იღებენ ახალგაზრდები, მართალია ზოგადს, მაგრამ თუ საკითხი დააინტერესებთ, თავისთავად მივლენ წიგნამდე. ვფიქრობ, მთავარია თანამედროვეობას არ მოსწყდნენ და დროს აუწყონ ფეხი. მარტივად წავიყვანოთ ყველა მსგავსი კამათი ბოლოსკენ. ქართველ კაცს ცოდნის მიღების, მისკენ სწრაფვის დიდი პოტენციალი აქვს. უკვე გადაფურცლული წარსულია თანამედროვეობისთვის, ვთქვათ, ნოდარ დუმბაძე და მისი დროის კომკავშირულ-პიონერული ახალგაზრდობა. ჩვენს დროს "ბიძია თომას ქოხი" აუცილებელი საკითხავიც კი გახდა. ახლა "ჰარი პოტერით" ინტერესდებიან. ჩვენი თაობისთვისაა ეს "მახინჯობა", ისე როგორც ამ თაობისთვის ნაკლებად საინტერესო, ვთქვათ, "კალე ბლუმკვისტის თავგადასავალი". მოთხოვნილებები და ინტერესები რომ იცვლება და ამას ვერ შევაჩერებთ, ხომ მეთანხმებით?"

### ქართულის კაცი მასწავლებელი

"ახალგაზრდა თუ არ შეცდა, ისე ვერ ისწავლის. ჩვენ, მშობლებს სწორედ ეს არ გვინდა, არ გვინდა, რომ შეცდნენ. მთავარია, ადამიანობაში, კაცობაში არ შეეშალოთ, თორემ შეცდომებზე უნდა ისწავლონ." _ მშობლებისთვის მტკივნეულ საკითხს ეხება მიშა სულაქველიძე. და აქვე კითხვა _ რას გულისხმობს პედაგოგი სიტყვებში, "კაცობაში არ შეცდნენ?" აქედან საუბარი განათლების სფეროში აქტუალურ თემამდე, სკოლაში მამაკაცი პედაგოგის ნაკლებობამდე და აუცილებლობამდე მივიდა. განსაკუთრებით იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ ამ ჩანაწერის გაკეთებისას სულ ახალი გასული გახლდათ 5 ოქტომბერი, "მასწავლებლის საერთაშორისო დღე" "ვისზე ნაკლები ვაჟკაცები იყვნენ ილია ჭავჭავაძე და ვაჟა-ფშაველა, პედაგოგიურ მოღვაწეობას რომ ეწეოდნენ? ვაჟამ და მისმა ძმამ ერთ-ერთ ტრაქტირში 15 კაცი სცემეს და ჟანდარმერია იმით გააკვირვეს, ამდენს ორი კაცი როგორ მოგერიათო. მათმა შემხედვარე უცხოელმა ტურისტმა, იმ ტრაქტირში რომ იჯდა, მთელი წლის თანხა გადაიხადა, ეს ორი კაცი უფასოდ ასადილეთო. მე თუ მკითხავთ, ყველაზე მეტად ქართული ენისა და ლიტერატურის მამაკაცი მასწავლებელი სჭირდება სკოლას. კაცი სხვანაირი განცდით ასწავლის, "არწივი ვნახე დაჭრილი, ყვავ-ყორნებს ეომებოდა", სხვანაირი იქნება მისი ემოცია "ვეფხვისა და მოყმის" ლექსის სწავლებისას. "ვეფხისტყაოსანში" ქალმა პედაგოგმა რაზე გაამახვილა ყურადღება? სიყვარულზე! "დაჯდა წერად ანდერძისად საბრალოსა საუბრისად"... მამაკაცმა კი, "ხმალი გავსტყორცნეო" _ მისი პათოსი სხვანაირია. რატომ არის მსოფლიოსთვის აქტუალური ქალთა ფემინიზაცია და მამაკაცთა მასკულინიზაცია. ბიჭი ძირითადად ქალების გარემოცვაში იზრდება, ჩვილი გაზარდა ქალმა, საბავშვო ბაღში ქალი, სკოლაში ქალი... ასე დაიწყო მისი დადედლება! გოგონა კი პირიქით, გაძლიერდა ამ დროს, ისწავლა ქალთა გარემოცვისგან, რომ ძლიერი უნდა იყოს. ატეხენ ერთ ამბავს სკოლაში ქალბატონი პედაგოგები, ბიჭებმა იჩხუბესო, _ უნდა იჩხუბოს ბიჭმა, გოგოს გულისთვის, კარგი კაცობისთვის. მაგრამ ის დავა იქ უნდა დასრულდეს. ამაში კაცი მასწავლებელი მიეხმარება მათ. ამასთანავე ასწავლის, რომ სუსტის დაჩაგვრა არაა კაცობა. ზოგჯერ ვეტყვი ბავშვებს, რომ გიჩხუბიათ, რამდენჯერ გალახულხართქო. მოიტყუებენ, ყოველთვის ჩვენ ვცემთო. და იქვე ავუხსნი, თუ ყოველთვის ერევი, შენზე სუსტს ჩაგრავ, ვაჟკაცობა შენზე ძლიერზე ხმის ამაღლებაა, როცა სიმართლე შენკენაა და ამ დროს შეიძლება გაილახო კიდეც. ამით, რა თქმა უნდა, მუშტი-კრივს კი არ ვამართლებ, ხასიათის ჩამოყალიბებაზე ვაკეთებ აქცენტს."

იგი თითიდან გამოწოვილ პრობლემად თვლის არასამთავროების მიერ "შემოგდებულ" თემას მამაკაცებისგან ქალების ჩაგვრის, მათი დამცველი ორგანიზაციების შექმნის აუცილებლობის თაობაზე. "იმისთვის, რომ გრანტები მოიპოვონ, ბინძური ფული იშოვონ, რამდენიმე სულგაყიდულმა ეს გზაც აირჩია. საქართველოში, სადაც 365-ვე დღე ქალის იყო, განსაკუთრებით იციან ქალის ფასი. იცოდნენ და იციან კიდეც. მთავარია, ჩვენ როგორ მივიტანთ ამას ახალ თაობებამდე. რომელი ქვეყანა გააქრისტიანა ქალმა, რომელი ქვეყანაა ქალის წილხვედრი, სად ჰყავთ ამდენი წმინდანი ქალი?!" სვამს კითხვებს, რომლებზე პასუხიც ყველა ქართველმა იცის, რელიგიის სწავლების პირველი სერტიფიცირებული პედაგოგი სამტრედიაში. ამიტომ არ უყვარს და აღიარებს არც კომუნისტურ რვა და არც შემდგომდროინდელ სამ მარტს. "მამა ბატონი _ ასეთი მიმართვა არსებობდა ძველ საქართველოში. მაგრამ დედა ბატონიც იყო მის საპირწონედ, ქალს ოჯახში ყველა დედას ეძახდა, ის ფუძის, ოჯახის დედა იყო და განსაკუთრებული პატივისცემაც მისადმი, აქედან მოდიოდა. მამაკაცი თავია ოჯახისო, მაგრამ ოჯახი ისაა, რაც ქალია! კითხვაზე აზიელები ვართ თუ ევროპელები, პასუხობს, "ქართველები ვართ!"

### ორივე მხარეს ჩემი გაზრდილები არიან

მასწავლებლისადმი განსაკუთრებული პატივისცემა მოაგვარებს ქვეყნის უდიდეს პრობლემებსო, _ თვლის. "მოძღვარი ყველაზე საპატივცემულო სიტყვა იყო ძველ ქართულში. დღემდე იგი სულიერ მამასთან ასოცირდება. ლენინი და სტალინი სატანის მოციქულებად არიან აღიარებულნი, მაგრამ საკუთარ თავს პირველ რიგში მასწავლებელს, მერე კი ბელადს უწოდებდნენ." სკოლის პოლიტიზირება მისთვის წარმოუდგენელი რამაა, რომელ მხარეს მივემხრო, პოზიციას თუ ოპოზიციას, ორივეგან ჩემი გაზრდილი მოსწავლეები რომ არიანო, ამბობს. თვლის, რომ ადამიანი სამშობლოს მხარეს უნდა იდგეს, პირველ რიგში, მასთან უნდა იყოს მართალი, მასთან და დედასთან! "ფესვებს არ უნდა მოვწყდეთ. რასაც ჩვენ ახლა ევროპელობად გვიკიჟინებენ, თავის დროზე უკვე გვქონდა! თუ ფესვებს მოვწყდით, არ ნიშნავს მრავლობითი ცხოვრება გადაუშენებლობას. ასურეთი და ბაბილონი დედამიწას აზანზარებდნენ, მაგრამ გადაშენდნენ. ჩვენი თვითმყოფადობა გადაგვარჩენს და მე მჯერა ამის, რადგან ქართველმა იცის, რომ ღმერთი სიყვარულია!"

საინტერესოდ მოსაუბრე პედაგოგი, კარგი ფერმერი და მეწარმეც გახლავთ. მისი კოოპერატივი, სოფლის მეურნეობით რომ არის დაკავებული, იმდენად გამართულია, რომ მიშა სულაქველიძე წარმატებულ მეწარმეთა რიცხვშია. საქმით, რომელიც სკოლასთან ერთად ბლომად აქვს, არასდროს იღლება, რადგან სჯერა, რომ "საქმე თუ გიყვარს, არ დაიღლები!"

ერთი სიტყვით, ესეც ბატონი მიშა სულაქველიძე, ოქროთი დაჯილდოვებული ოქროს კაცი, მიწაზე შეყვარებული, მოსწავლეებისთვის, კოლეგებისთვის, ქალაქისთვის საიმედო, კარგი ოჯახის მამა და ზოგადად, მიშა სულაქველიძე, არქეოლოგი, ნუმიზმატიკით დაინტერესებული, "კვირის პალიტრის" მაკედონელის დროინდელმა ოქრომ ჩვენი საინტერესოდ მოსაუბრე რესპონდენტი რომ გახადა.



# "რა ცოტა დროა და რა ბევრი წიგნი"

ნათია ნაცვლიშვილი

***ჩვენი რესპონდენტი სიტყვიერების მასწავლებელია, მასწავლებელი, ამ სიტყვის მაღალი და ჭეშმარიტი გაგებით. 30 წლიანმა პედაგოგიურმა გამოცდილებამ სათქმელიც დაუგროვა და ლამაზად თქმის ხელოვნებასაც აზიარა. მე-12 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგ ლია ნიკურაძესთან წიგნსა და ლიტერატურაზე ვსაუბრობთ.***

**_ ქალბატონო ლია, წლებია ქომაგობთ ქართულ სიტყვას, კარგად ვიცი, როგორ გტკენთ გულს თანამოსაუბრის მიერ ამა თუ იმ ენობრივი ნორმის დარღვევა. რას ნიშნავს თქვენთვის წიგნი, რა ფენომენია იგი? კომპიუტერის ეპოქაში დაჰკარგა თუ არა ამ ფენომენმა ელვარება? თუ ეს ორი რამ შესანიშნავად ავსებს ერთმანეთს?**

_ წიგნთან დამოკიდებულების საკითხი დღეს ძალიან მტკივნეულია. ეს არახალია, ძველია. არაა დასამალი, რომ ახალგაზრდობა, გამონაკლისის გარდა, მაინც დაშორდა წიგნს. ტექნიკის განვითარებამ, ნებისმიერი მასალის ვიზუალური აღქმის შესაძლებლობამ, საინფორმაციო საშუალებათა სიმრავლემ, დროის დეფიციტმა ადამიანი დააშორა წიგნს, ყველაფერმა ამან შთანთქა სულიერი ღირებულებანი, ადამიანი ფასეულობებს მოსწყვიტა და წარმავალს, ეფემერულს მიაჯაჭვა. არ მიყვარს ფრაზის "ჩვენ დროს" გამოყენება. ეს ტკივილი, თაობების, მეტაფორულად რომ ვთქვათ, მამებისა და შვილების კამათი ძველი თემაა. 5 ათასი წლის წინანდელ პაპირუსზეც თურმე იგივე მოთხოვნები და იგივე ტკივილია დატანილი მშობლებისა შვილების მიმართ, რაც დღეს. სადღაც წავიკითხე არისტოტელემ თქვა, რა ცუდია, რომ ახალგაზრდობა გაფუჭდა, მაგრამ ეს მე კი არ მითქვამს, ერთმა ბრძენმა თქვა 100 წლის წინო. ე. ი. ეს საკამათო საკითხია და ღმერთმა ნუ ქნასო, აკაკი ბაქრაძე ბრძანებს, რომ მამებმა აჯობონ შვილებს.

**_ ილიაც შესანიშნავად ბრძანებს, შვილებმა უნდა იცოდნენ, რაზე გაჩერდნენ მამები...**

_ დიახ, ძალიან კარგი ნათქვამია და როცა ამ ურთიერთობებზე ვსაუბრობ, ყოველთვის მახსენდება ჩარლი ჩაპლინის წერილი ჯერალდინასადმი: "შეომე ჩემო გოგონავ, ჩემს სიტყვებს ეომე, მე არ მიყვარს მორჩილი შვილები, მაგრამ მუდამ გახსოვდეს, მამაშენი ჩარლი. მე არ ვყოფილვარ ანგელოზი, მაგრამ ყოველთვის ვცდილობდი, ადამიანი ვყოფილიყავი, ეცადე შენც". მთავარია, ზნეობრივი ფასეულობები არ დავკარგოთ, არ დავკარგოთ სიყვარული და ინტერესი წიგნის მიმართ.

**_ შევხვედრივართ ადამიანებს, რომლებსაც არც მუხრან მაჭავარიანის ლექსი ხიბლავთ, არც ჯანსუღ ჩარკვიანის, თანამედროვე ახალგაზრდობამ, შეიძლება, მილან კუნდერა უფრო იცოდეს, ვიდრე ვთქვათ "ცისფერყანწელები". ახალგაზრდებთან ყოველდღიური შეხება გაქვთ, რა დასკვნის გამოტანის საფუძველს გაძლევთ ეს ურთიერთობა? მოდის ის თაობა, წიგნებს მტვრის მისაყრელად რომ არ გაიმეტებს?**

_ არ მინდა პესიმისტი ვიყო, მაგრამ, არ არის დღეს ისეთი სიყვარული პოეზიისადმი, წინათ რომ იყო. პოეზიას ჩემი თაობა განსაკუთრებულად კითხულობდა. რანაირად შეიძლება გალაკტიონი ასწავლო შინაარსით. მასწავლებელო ზეპირად მოგიყვებითო, მეუბნებიან მოსწავლეები. ალბათ, სიტყვიერების მასწავლებლებმაც, მშობლებმაც უნდა ვეცადოთ, შევაყვაროთ მათ პოეზია. უცხოური ლიტერატურით გატაცება სნობიზმში გადადის. ჩემს მოსწავლეებს ვთხოვ რეზო ინანიშვილი, ნოდარ დუმბაძე წაიკითხონ, ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, მაგრამ უდიდესი კლასიკოსები გვყავს, ჯერ ჩვენი მწერლები, პოეტები უნდა შევისწავლოთ საფუძვლიანად და მერე უდიდესი პატივი ვცეთ საზღვარგარეთის ლიტერატურას. საზღვარგარეთის ლიტერატურას ქალბატონი ნაირა გელაშვილი გვიკითხავდა და ძალიან თბილად ვიხსენებ მას.

**_ გქონიათ შეხვედრა ქართველ კლასიკოსებთან?**

**გაქვთ მათი წარწერით წიგნები?**

_ ამირან გომართელი მიკითხავდა თანამედროვე ქართულ ლიტერატურას, ასევე სერგი ჭილაია, ისინი მიმძაფრებდნენ და მიღვივებდნენ ლიტერატურის სიყვარულს. უნივერსიტეტში საინტერესო შეხვედრები მოვაწყვეთ მსახიობებთან: ოთარ მეღვინეთუხუცესთან, მედეა ჯაფარიძესთან, ვერიკო ანჯაფარიძესთან, ჩვენი სტუმრები იყვნენ გურამ ფანჯიკიძე, ნოდარ დუმბაძე, რევაზ ინანიშვილი. ერთხელ, უნივერსიტეტის ეზოში, ვხედავ (შემოდგომის იმ დღის სურნელიც მახსოვს), ეზოში მუხრანი მოდის ჩაფიქრებული, მაგრამ მისვლა ვერ გავბედე, უკან ავედევნე და ამით ვიყავი ბედნიერი. ჩემი საყვარელი პოეტია მურმან ლებანიძე, არ დამავიწყდება მასთან შეხვედრა. ყოველი ლექსი ახლაც ყურში ჩამესმის. მან უამრავი ლექსი წაგვიკითხა. "გლეხკაცი ჭრელ ბალახს თიბავს, მთის რაჭას კარგი გვაქვს ბუნება, ჩვენ გორაკს გულდაგულ კიბავს, მე მიყვარს სამშოლოს ყურება". ჩემს დეიდაშვილთან ვცხოვრობდი, მურმანის წიგნი არ მქონდა და ამიტომ მისი წიგნი გავუწოდე პოეტს ავტოგრაფისთვის. მახსოვს, მომიბრუნდა და სახელი მკითხა, მე ჩემი სახელის ნაცვლად ჩემი დეიდაშვილის სახელი ვუთხარი, რითაც ჩემს დეიდაშვილს უდიდესი სიამოვნება მივანიჭე. მაქვს შოთა ნიშნიანიძის წარწერით წიგნი "ჩემი პოეზიის მეტრფეს, სიყვარულით შოთა ნიშნიანიძე" ეს შეხვედრა ახალგაზრდულ კლუბში შედგა, სადაც შეხვედრის შემდეგ პოეტის უამრავი ლექსი წარმოვთქვი.



**_ დიდი ბიბლიოთეკა გაქვთ?**

_ ჩვენს ოჯახში ტრადიცია წიგნის პატივისცემისა დიდი იყო. მამა ადრე გარდამეცვალა, მან დიდი ბიბლიოთეკა დაგვიტოვა, დედა სამსახურიდან რომ მოდიოდა, გამოივლიდა სახელგამში, სახლში მოჰქონდა პური არსობისა და წიგნები, სულის პური. მეც ვცდილობდი, ჩემი შვილებისათვის, ისევე, როგორც ჩემი მოსწავლეებისათვის, წიგნები შემეყვარებინა. ეს თავისთავად უნდა მოხდეს, უნდა გაუღვივო ბავშვს ეს სიყვარული. ძალადობა ამ საკითხში არ იქნება. როგორც იდეას ვერ დაამარცხებ ძალით, იდეა იდეითვე უნდა დაამარცხო. "კარცერ_ ლუქსი" ყველას გახსოვს, ყველაზე დიდი უტოპია უტოპიათა შორის, ხანდახან მიფიქრია, ეს კეთილშობილური ძალადობაა, მართლაც რომ იყოს "კარცერ-ლუქსები", განათლებულ თაობას მივიღებთ. ერთმა ჩემმა საუკეთესო მოსწავლემ, რომელმაც ხვათა შორის 100%-იანი გრანტი მოიპოვა, ასეთი ნათქვამი ამოიწერა: "რა ცოტა დროა და რა ბევრი წიგნი" _ ეს გამოთქმა ძალიან მომეწონა.

**_ ანუ, სულაც არ ღირს აპოკალიპტური სურათის დახატვა, ჩვენი კლასიკოსები კვლავ რჩებიან ინსპირაციის წყაროდ თანამედროვე ახალგაზრდა შემოქმედებისათვის. მუსიკოსმა გიგი გეგელაშვილმა თავის ჯგუფს უწოდა ოთარ ჭილაძის შესანიშნავი პოემის სახელი "სინათლის წელიწადი" და ამ პოემის ტექსტზე შესანშინავი მუსიკაც ააჟღერა...**

_ დიახ, თავისუფალი, მოაზროვნე, ლაღი თაობა მოდის, ამას წინათ, სამტრედიელმა მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობ გადაცემაში "წიგნის თარო". ბევრი წარმატებული ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედი გვყავს.

**_ ვიცი, რომ თქვენს მოსწავლეებს ასაჩუქრებთ წიგნებით...**

_ წიგნს ყველაზე ძვირფას საჩუქრად მივიჩნევ. ამიტომ ყოველთვის ვცდილობ, წიგნები ვუსახსოვრო მათ.

**_ რას ურჩევთ ახალგაზრდებს, რატომ უნდა უყვარდეთ წიგნი?**

_ იცით, როგორი განწყობა უნდა ჰქონდეთ? როგორც მურმან ლებანიძე ამბობს: "რომანზე დამთენებია, ფანჯრებში რიბი-რაბოა, რა წიგნი დაგიწერია, ამირეჯიბო ჭაბუა", "რამდენი ოქრო, რამდენი ვერცხლი, გულის რამდენი ნამდვილი რეჩხი! ბლოკს, საფოს, მისტრალს, მარინას, ბელლას,_ ბოლოს რიგრიგად გადავდებ ყველას, შენ, შენ! მაინც შენ, ქართულო წიგნო, ბოლოს შენ გაგშლი,შენ გაგშლი ვინძლო, საკუთარ სიტყვის ფერი და ხორცი, საკუთარ სისხლს თქრიალი ვიგრძნო!". ალფონს დოდეს სიტყვები მიესადაგება ამ პერიოდში ჩემს მდგომარეობას, ჩემი შვილები სწავლობენ და მუშაობენ, ჩემთან არ არიან, "წიგნები საუკეთესო მეგობრები არიან, მათ შეიძლება მიმართოთ ცხოვრების ყველაზე მძიმე წუთებში. ისინი არასოდეს გიღალატებენ". კითხვა ავითარებს ადამიანის გონებას, გემოვნებას, მახსენდება გურამ დოჩანაშვილის პერსონაჟის ვასიკო კეჟერაძის სიტყვები: "რამდენი სიკვდილი გვინახავს, რა არ გამოგვიცდია, ხის ხმლით გვიბრძოლია, ქუსლში დავჭრილვართ, თავიც მოგვიწამლავს, შეყვარებულთა შუაშიც დავწოლილვართ და არ ვყოფილვართ ზედმეტნიო". ახალგაზრდებს ახსოვდეთ ისევ გურამ დოჩანაშვილის სიტყვები: " ადამიანი ყოველი წაკითხვის შემდეგ ხდები უფრო უკეთესი, ვიდრე ხარ და უფრო ჭკვიანი, ვიდრე იყავიო". შევახსენებ ასევე ტიბეტურ სიბრძნეს: "ჩვენ შეიძლება ვიცხოვროთ რელიგიის გარეშე, მაგრამ ვერ ვიცხოვრებთ სიყვარულის გარეშე". დავამატებ: სიყვარულისა და წიგნის გარეშე.

**_ ვინ შეგიძლიათ დაასახელოთ ჩვენს ქალაქში ძალიან წიგნიერ ადამიანად?**

_ ასეთები ბევრნი არიან, ჩემზე გავლენა იქონია თამაზ ფოფხაძემ, სიმონ ჩიქოვანის პოეზიას ამ განათლებულმა ადამიანმა მაზიარა, ნანა ცირეკიძე, უგანათლებულესი ქალბატონია, ბოდიშს ვუხდი ყველას, ვინც გამომრჩა, ნინო ონიანი, მზევინარ ბაღდავაძე, მიხეილ სულაქველიძე.... ძველი თაობა განსაკუთრებით წიგნიერია.

**_ გკითხვათ აზრს ჩვენს გაზეთზეც. შენიშვნებიც მოგვახსენეთ თამამად...**

_ თქვენი გაზეთის ერთგული მკითხველი ვარ, თქვენს შესანიშნავ უმცროს კოლეგას, შოთა პაპავას მოჰქონდა ჩემთან ყოველი ახალი ნომერი. ძალიან მიყვარს თქვენი წერილები, ნინო ნანიტაშვილს პატივს ვცემ, თეა ბაბუნაშვილს ვაფასებ, ძალიან კარგი შემოქმედებითი კოლექტივია, ძალიან საინტერესო და შინაარსიანი წერილები იბეჭდება, შენიშვნა არ მაქვს. ენობრივი თვალსაზრისითაც ძალიან კარგია. წარმატებებს და წინსვლას გისურვებთ. უკვე ინტერნეტის მეშვეობით ვეცნობი თქვენს გაზეთს.

# როდის დაიბადა და როდის გარდაიცვალა ნიკო ნიკოლაძე?

ლევან გაბეჩავა

***"ისტორია ფაქტებია და არა ჭეშმარიტება. ჭეშმარიტება განსხვავდება ფაქტებისაგან, როგორც დრო სივრცისაგან, როგორც ბედისწერა მიზეზობრიობისაგან".***

***<u>შ. ნუცუბიძე</u>***

დიდი ერისკაცი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე, მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა ჯერაც არაა სათანადოდ შესწავლილი. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ იგი სასწავლო სახელმძღვანელოებშიც კი არაა შეტანილი. მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დღესასწაულ "ნიკოობაზე" დიდ ჯიხაიშს ამერიმერიდან უამრავი მეცნიერი სტუმრობდა და სტუმრობს, რატომღაც ეს საკითხი დღის წესრიგში არ დამდგარა, ყოველ შემთხვევაში ახალგაზრდებმა უფრო მეტი რომ უნდა შეიტყონ ამ ლეგენდარულ მოღვაწეზე, სადავო არ უნდა იყოს.

ბოლო ხანებში რატომღაც წესად დამკვიდრდა, როცა რიგ ცნობილ ადამიანთა დაბადებ-გარდაცვალების თარიღად სხვადასხვა გამომცემლობები სხვადასხვა წლებს ასახელებენ.

"მე დავბადებულვარ 14 ენკენისთვეს (სექტემბერს) 1843 წელს.

ჩემზე უწინ ჩემს მშობლებს ქალიშვილი ნატალია ჰყოლიათ.

ჩემი თავი მახსოვს 4 წლიდან, როცა ბებია _ ჩემი ტასო ჩემმა წაქცევამ და ტახტის ყურეზე წარბის გაჩეხამ გაამწარა..." _ წერს ნიკო ნიკოლაძე ერთგან ("მოგონებები" _ თსუ-ს გამომცემლობა, 1984 წ. _ ლ.გ.)

_ 1928 წლის 1 აპრილს ხანმოკლე ავადმყოფობის (პნევმონიის) შემდეგ ნ. ნიკოლაძე გარდაიცვალა თბილისში, თავის ბინაზე (ამჟამად გ. ტაბიძის ქ. № 21.).

"5 აპრილს მადლიერმა ქართველმა ხალხმა მთაწმინდას მიაბარა კიდევ ერთი თავისი რჩეული შვილთაგანი, მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელი მოჰიკანი, თავისი ერის საუკეთესო მომავალში ღრმად დარწმუნებული დიდი პატრიოტი ნიკო ნიკოლაძე" (დ. გამეზარდაშვილი. ნიკო ნიკოლაძე. 1983 წ.).

მოხმობილი ციტატებიდან ნათელია და სადავო სულაც არაა, თუ როდის დაიბადა და გარდაიცვალა დიდი ერისკაცი.

საოცარი და საკითხავი ისაა, თუ რატომ წერია ზოგიერთ ჟურნალ-გაზეთში ნ. ნიკოლაძის დაბადების თარიღად 9 ოქტომბერი და გარდაცვალების თარიღად 5 აპრილი; დაბადების ადგილად _ დიდი ჯიხაიში, მაშინ, როცა ნ. ნიკოლაძე ქუთაისში დაიბადა.

მთავარი და ღვთის წყალობა ისაა, რომ განგებამ საქართველოს მოუვლინა ნიკოსნაირი მრავალმხრივი ნიჭით მირონცხებული მოღვაწე, მაგრამ როცა მის დაბადება-გარდაცვალებასთან დაკავშირებით ზუსტი ცნობები მოგვეპოვება, ვალდებულნი ვართ (აუცილებელიცაა) ზუსტად დავიცვათ და შემოვუნახოთ მომდევნო თაობებს იგი.

გაზეთ "საქართველო და მსოფლიოში" გასულმა ინფორმაციამ გადამაწყვეტინა ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება. გაზეთის რედაქციისადმი ჩვენი დიდი სიმპათიის მიუხედავად სწორედ აქ იყო შეცვლილი ნ. ნიკოლაძის ბიოგრაფიული თარიღები.

ერთი საკითხიც: ბოლო ხანებში თუ თანხა გაქვს, პრობლემა არაა წიგნის დაბეჭდვა. გახშირდა შემთხვევები, როცა ავტორები ჩქარობენ წიგნების გამოცემას, რათა რაიმე მნიშვნელოვან (მათთვის) მოვლენას დაამთხვიონ იგი. სიჩქარეში დიდია ალბათობა შეცდომებისა.



სამწუხაროდ, ბოლო დროს დასტამბულმა არა ერთმა და ორმა წიგნმა მოგვცა საბაბი ამის თქმისა.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ძველი სიბრძნის გათვალისწინებაა საჭირო და სავალდებულო, ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო, რომ ღაღადებს.

# ვაჟკაცური, ნაზი და ზუსტი პროფესიის მსახური

ქეთევან ჭელიძე

***ჩემი რესპონდენტის მიმართ, ალბათ, მეტ-ნაკლებად სუბიექტურიც ვიქნები და ობიექტურიც. სუბიექტური, რადგან მას თითქმის ბავშვობიდან ვიცნობ და მხოლოდ დადებით კონტექსტში. ობიექტურობა კი ის პირობაა, რეალური წარმოდგენა შეგიქმნათ მასზე, როგორც ადამიანზე, ექიმზე, პროფესიონალზე.***

***რუსუდან გუძუაძის წარმატების საწინდარი ადამიანების სიყვარულია. "კაცთმოყვარე თუ არ ხარ, კარგი ექიმი ვერ იქნები. მე ასე მოვდივარ მთელი ცხოვრება. თუ პატარა წვლილი შევიტანე ჩემს დარგში და მყავს რამდენიმე მადლიერი პაციენტი მაინც, ჩემი მისია შემისრულებია". _ ამბობს ის.***

ასეთი პაციენტები კი მრავლად არიან, რუსიკო ექიმის ხელს და სიტყვას რომ ენდობიან. მის სიტყვას კი მართლაც აქვს ის ანდამატი, ყველაზე მშიშარსაც გულმოცემულს რომ ჩასვამს სტომატოლოგიურ სავარძელში. ამაში ფსიქოლოგიური ალღოც ეხმარება ექიმს: "ყველანაირი პაცინეტი შეგხვდება _ აფორიაქებული, მშვიდი, ფიცხი, მაგრამ ექიმმა უნდა შეძლო გაუგო მას. კარგად ვიცი, რამდენად ჩართულია ამ დროს ემოციური სფერო. ჩვენი ისეთი მანიპულაციები გვაქვს, გაუტკივარების მიუხედავად მაინც არ არის სასიამოვნო".

მოვლენებს წინ გავუსწარით და ვინც ქალბატონ რუსუდან გუძუაძეს პირადად არ იცნობს, ხვდება, რომ საუბარი ექიმ სტომატოლოგზე გვექნება.

კულაშის მკურნალის სახელობის საშუალო სკოლა ისე დაამთავრა, მისი სურათი საპატიო დაფიდან არავის ჩამოუხსნია. ყველა საგანს ერთნაირად კარგად სწავლობდა და ყველა პედაგოგს ეგონა, მისი საგნის სპეციალისტი გახდებოდა. განსაკუთრებით მაინც მათემატიკა მიყვარდა, ვაჟებს ტოლს არ ვუდებდიო, _ თქვა. ოქროს მედლისთვის არ უბრძოლია, რადგან იცოდა, ბევრ დაუმსახურებელ წინააღმდეგობას წააწყდებოდა. მიუხედავად იმისა, ექიმობა ბავშვობიდან უნდოდა, სამედიცინო ინსტიტუტში ჩაბარება მაინც ვერ გაბედა, ვიდრე მისმა ნათესავმა, ბიოლოგიის მასწავლებელმა, თამარ ხაჟალიამ არ გამოსცადა. ქალაქელ მოსწავლეებზე ნაკლები ცოდნა არ გაქვს, პირიქით, სამედიცინო ინსტიტუტში აუცილებლად მოხვდებიო. _ შეაგულიანა მან. ექიმი რომ გახდა, დღემდე ქალბატონი თამარის დამსახურებად თვლის. პირველივე წელს წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. წარჩინებულ სტუდენტს ფრიადოსნის სტიპენდიაც დაენიშნა.

სიყვარულით იქორწინა თავის თანაკლასელზე, ალექსანდრე (კუსა) შენგელიაზე, სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის სტუდენტზე. ამიტომ ორდინატურის გავლა მომავალ ექიმს სოხუმში, რესპუბლიკურ სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში მოუხდა.

"სოხუმში კარგი პრაქტიკა მივიღე. იქ მუშაობდნენ ექიმები, რომლებსაც მოსკოვის და მაშინდელი ლენინგრადის სკოლა ჰქონდათ გავლილი. დიდი სითბო და გამოცდილება წამოვიღე იქედან". _ გვიყვება ჩვენი რესპონდენტი.

ინტერნატურაში გამოცდების ჩაბარების შემდეგ, ორი წლით ზუგდიდში გაანაწილეს სამუშაოდ. სამტრედიაში სხვადასხვა დროს ღანირის, საჯავახოსა და გომის სასოფლო ამბულატორიებში მუშაობდა.

"ბუნებით ესთეტი ვარ, სილამაზეს ძალიან ვაფასებ. ადამიანს პირველ რიგში გარეგნული მხარე ხვდება თვალში. ძალიან მომწონდა ლამაზი კბილები და ლამაზი ღიმილი". _ ასე ხსნის თავისი არჩევანის უპირატესობას რუსუდან გუძუაძე. და კიდევ, სიახლეების მაძიებელი თვლის, რომ მისი დარგი მუდმივ პროგრესშია.

სასწავლო პრაქტიკების დროს, კათედრის გამგემ რჩევა მისცა, ისეთი ხედვა გაქვს, ორთოპედიას გაჰყევიო. ქირურგიით დაინტერესებულმა სტუდენტმა თავის სურვილზე უარი მაინც არ თქვა, პირიქით, ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ცოდნა მიეღო ამ კუთხით. ქირურგიაზე ფიქრს არ ვწყვეტდიო, გვიმხელს. უკვე ორი შვილით თბილისში წავიდა და 1984-86 წლებში სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრაზე სრული კურსის გავლის შემდეგ ყბასახის ქირურგის კვალიფიკაცია მიენიჭა. "ისეთი კორიფეები მასწავლიდნენ, როგორებიც ნატალია ბაძოშვილი და ომარ ნემსაძე იყვნენ. ბატონი ომარის სახელმძღვანელოებით დღესაც ვსარგებლობთ ქირურგი სტომატოლოგები. შეუდარებლები იყვნენ პროფესიულად და პიროვნულად. იმ პერიოდში თბილისის მე-8 და რესპუბლიკურ საავადმყოფოებში ვმუშაობდი. ერთხელ, ღამით შვიდი პაციენტი შემოვიდა ყბის მოტეხილობით. მორიგე ვიყავი და დამოუკიდებლად უნდა მემოქმედა. ასეთ დროს არტაშანს ვადებთ და წარმოიდგინეთ, დილით ისეთი დონის სპეციალისტები რომ შეამოწმებენ შენს ნამუშევარს, ბაძოშვილი და ნემსაძე რომ იყვნენ. ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, მაგრამ იმდენად მიყვარდა ეს საქმე და ინტერესი მქონდა ქირურგიისადმი, თავს ვართმევდი.

ახლა, როცა ეკლესიაში გარდაცვლილ ახლობლებზე ვლოცულობ, უფლება არ მაქვს, ისინიც არ მოვიხსენიო, ბევრი რამ ვისწავლე მათგან". _ სინანულით და სიამაყით იხსენებს ყოფილი სტუდენტი მისთვის პატივსაცემ პროფესორებს.

მიუხედავად შეთავაზებისა თბილისში დარჩენილიყო, სამტრედიაში მაინც დაბრუნდა. სამტრედია ის ქალაქია, სადაც თავს ყველაზე უკეთ გრძნობს, უყვარს და არ ემეტება. პოეზიით გატაცებულმა ექიმმა ეს სიყვარული საკუთარი ლექსითაც გამოხატა. ჩვენ ახლა ამ ლექსის მხოლოდ რამდენიმე გულწრფელ სტრიქონს შემოგთავაზებთ: "ისე მიყვარხარ, ჩემო ქალაქო,/ როგორც თვით ჩემი მშობელი დედა,/ შენს ქუჩებსა და ჭადრების ჩრდილქვეშ/ მე ჩემს პატარა სამოთხეს ვხედავ".

1988 წლიდან მთელი 10 წელი რაიონულ საავადმყოფოში ყბა-სახის ქირურგად იმუშავა. საქმე ბევრი ჰქონდა. რთული შემთხვევებიც იჩენდა თავს, ერთერთი მის ნათლულს უკავშირდება, სიბრძნის კბილის პრობლემა რომ შეექმნა და ფლეგმონა განუვითარდა. არც ის ღანირელი პაციენტი ავიწყდება, ოპერაცია რომ გაუკეთა და მერე გამოჯანმრთელებამდე ყოველდღე სახლში აკითხავდა.



თვლის, რომ ექიმობა თუ პრესტიჟულ სპეციალობადაა აღიარებული, საპასუხისმგებლო მოვალეობაც არის. "მუშაობის დროს ყოველთვის ჩამესმის ჩემი ლექტორის, ორთოპედიული სტომატოლოგიის კათედრის დოცენტის, სერგო ნაკაიძის ჩვენს მიმართ ნათქვამი სიტყვები: "როცა პაციენტს სვამთ სავარძელში, ის უცხო აღარ არის. წარმოიდგინეთ, რომ ასაკის შესაბამისად იქ გიზით დედა, მამა, და, ძმა და შვილი. როგორც იმათ მოექცეოდით, პაციენტებსაც ისე უნდა მოექცეთ. სხვაგვარად არც მე შემიძლია."

წლებია, რუსუდან გუძუაძე შპს "ბაბორა ბუაძის სახელობის სტომატოლოგიური პოლიკლინიკის" ქირურგი სტომატოლოგია. სამსახურს მეორე ოჯახად თვლის და ცდილობს, საჭიროების დროს გვერდით დაუდგეს ყველას, თავისი გამოცდილება გაუზიაროს ახალგაზრდებს. შპს-ეს დირექტორი, ექიმი ქეთევან კახიანი არა მარტო კოლეგა, ქალბატონი რუსუდანის მეგობარიცაა, მათ რამდენიმეწლიანი ურთიერთობა აკავშირებთ.

ჯანსაღი კოლექტივი გვყავსო, ქალბატონმა ქეთვანმა, "და მათ შორის რუსუდანიც გამორჩეულია გამოცდილებით, პროფესიონალიზმით, საქმის ღრმა ცოდნით, პაციენტებისადმი ძალიან სერიოზული დამოკიდებულებით, არაჩვეულებრივი მეგობარი და დასაყრდენი კოლეგაა. დიდი ხანია, ერთად მოვდივართ. გვაქვს თბილი და კეთილი ურთიერთდამოკიდებულება. ერთმანეთის გვერდით ვდგავართ ჭირში, ლხინში თუ კოლეგიალური დახმარების საჭიროებისას. პაციენტები მისადმი დიდ ნდობას გამოხატავენ, როცა მასთან მოდიან, იციან, როგორი პრობლემაც არ უნდა ჰქონდეთ, რუსუდანი დაეხმარება, ისე როგორც ეს ნამდვილ ქირურგ სტომატოლოგს შეეფერება."

ექიმ ნათელა მეფარიშვილისთვის ქალბატონი რუსუდანი საიმედო კოლეგაა: "არასოდეს მიგატოვებს გაჭირვებაში, კეთილი და გვერდით მდგომი ადამიანია, ჩვენი იმედი. დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი ძლიერი ქირურგია".

ქირურგი სტომატოლოგი ნათია რევიშვილი და ქალბატონი რუსუდან გუძუაძე ერთ კაბინეტში მუშაობენ. ქალბატონ ნათიასაც თბილი სიტყვა არ ელევა უფროსი კოლეგისადმი: "ძალიან კარგი მოსაუბრე და კონტაქტური ადამიანია. რუსეთში მაქვს ინსტიტუტი დამთავრებული, სადაც მაღალკვალიფიციური ექიმები მუშაობდნენ, მაგრამ ქალბატონი რუსიკოს მსგავსი ქირურგი არ მინახავს, ისეთი მიდგომა აქვს, ისეთი ტექნიკა. როცა პაციენტი არ მყავს, ვცდილობ, მის მუშაობას თვალი ვადევნო, რაღაც ახალი შევიძინო".



ერთი რამ არ მოსწონს რუსიკო ექიმს, სტომატოლოგებს კბილის ექიმებს რომ ეძახიან: "არც ერთ კბილის ექიმს შეურაცხყოფას არ ვაყენებ. თავიდან არსებობდა ასეთი ნომენკლატურა. სამწლიანი "ზუბოვ ვრაჩებნოე უჩილიშჩე" იყო რუსეთში, რომელსაც კბილის ექიმები ამთავრებდნენ. სტომატოლოგია უფრო ფართო მცნებაა. თუნდაც პირის ღრუში რამდენი ორგანოა: სანერწყვე ჯირკვლები, ენა, მთლიანად ლორწოვანი. ჩემ დროს კიდევ ისეთი სწავლა იყო, სახელმწიფო გამოცდა შინაგან თერაპიაში ჩავაბარე, ნებისმიერ საგანს გავდიოდით მეტ-ნაკლები პროგრამით. ჩვენი სპეციალობა ქირურგიული პროფილისაა. ". _ აზრს გვიზიარებს გამოცდილი ექიმი.

სტომატოლოგიით დაინტერესებულთა რიცხვი რომ იზრდება, თუნდაც ჩვენს ქალაქში მომრავლებული სტომატოლოგიური კაბინეტებითაც კარგად ჩანს. ამასთან დაკავშირებით რუსუდან გუძუაძეს თავისი შეხედულება აქვს: "მივესალმები ნებისმიერი სპეციალობის მომრავლებას, თუ ის პროფესიონალიზმთან არის დაკავშირებული და სიყვარულით ეუფლებიან მას. როცა მატერიალური კეთილდღეობის მიზნით ხდება ეს, სასიამოვნო არაა. ვინც კი კარგად ჩაიხედავს ჩვენს სპეციალობაში, ნათლად დაინახავს, თუ რამდენად ხარჯიანია. ამით ვერ გამდიდრდები, მაგრამ როცა გიყვარს, სულიერ სიამოვნებასაც გრძნობ და მთლიანად იხარჯები შენი საქმისთვის".

მიიჩნევს, რომ ექიმს პირველ რიგში დაუდევრობა არ ეპატიება. ხდება ისეც, რომ მისგან დამოუკიდებლად ვითარდება პროცესები, რაც მას პრობლემის წინაშე აყენებს. აღწერს, თუ როგორ სიფრთხილით უდგებიან საანესთეზიო საშუალებებს, იმდენად სენსიბილიზებულია დღეს ადამიანის ორგანიზმი.

იუმორის მოყვარულ ექიმს ოპტიმიზმი ყოველთვის აძლევს საშუალებას, იმედის თვალით შეხედოს ნებისმიერ სიტუაციას. სჯერა უკეთესობის და ამგვარი განწყობა მუშაობაშიც ეხმარება.

"ვიდრე საანესთეზიო ნივთიერებებს გამოიგონებდნენ, _ გვიყვება იგი, _ ტკივილის დროს ადამიანს თავში ჩაარტყამდნენ, თიშავდნენ ისე უღებდნენ კბილებს პარიკმახერები. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, თანდათან დაიხვეწა, ნოვოკაინს დღეს თითქმის აღარ ვხმარობთ, ლიდოკაინს, ულტრაკაინს, უბისთეზინსა და სხვა პრეპარატებს ვიყენებთ, ნაკლებად ტოქსიურს და ალერგიულს. ამჯერად ჰელიობჟენებს ვაკეთებთ და ისეთ კბილებს ვუნარჩუნებთ ადამიანებს, რომელსაც უწინ ვიღებდით. სტომატოლოგია ვაჟკაცური დარგიც არის, სინაზეც სჭირდება, სიზუსტეც და ბევრი კიდევ ისეთი რამ, რაც ექიმ სტომატოლოგისთვის აუცილებელია. ჩვენი სპეციალობის სირთულე ის არის, კბილი ფუნქციურადაც რომ უნდა აღდგეს და კოსმეტიკურადაც. ეს სახეზე კარგად ჩანს. სახე ადამიანის სულსაც გამოხატავს და ითრგუნება თუ ნაკლი დარჩა".

წიგნების კითხვა და ყიდვა უყვარს რუსიკო ექიმს. ერუდირებული ქალბატონის აზრით, წიგნს ვერაფერი ცვლის. ისეთ ოჯახში აღიზარდა, სადაც განათლებას ყოველთვის მიაგებდნენ პატივს; სადაც ბაბუამ "ვეფხისტყაოსანი" ზეპირად იცოდა და შინაგანი კულტურის, ინტელექტის მაგალითს იძლეოდა.

კურიოზებით სავსე პროფესია გვაქვსო, დასძენს, ბევრ მათგანს კოლექტივში ანეგდოტებადაც ჰყვებიან.

რუსუდან გუძუაძე ორი შვილისა და ხუთი შვილიშვილის ბებიაა. უფროსმა შვილმა აკაკიმ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა. დღეს იგი სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თანამშრომელია. ეკა ექიმია და სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურში მუშაობს. აკაკის მეუღლე ანა ხუჭუაც თერაპევტი სტომატოლოგია, რომელიც ქალბატონ რუსუდანთან ერთად მუშაობს პოლიკლინიკაში. "ჭკვიანი, ერთგული ექიმია და ესთეტიურადაც კარგად გამოსდის თავისი საქმე. იმედი მაქვს, კარგ სპეციალისტად ჩამოყალიბდება". _ თბილად დაგვიხასიათა რძალი ჩვენმა რესპონდენტმა. ეკას მეუღლე კი სამტრედიის რაიონის ყოფილი გამგებელი, აკაკი უჯმაჯურიძეა. უფროსი შვილიშვილი 16-ს, ხოლო უმცროსი 3 წლისაა. კარგი პაციენტები არიანო, _ ღიმილით ამბობს მათზე.

ცდილობს, გული არავის ატკინოს, შვილებსაც ყოველთვის ურჩევდა: "არ გაგიკვირდეთ, თუ ვინმე დაუმსახურებლად მოგექცევათ, ან გისაყვედურებთ, ჩვენ ვინ ვართ, განკაცებული ქრისტე ღმერთი ვერ იცნეს ადამიანებმა და ტკივილი მიაყენეს, მაგრამ სიმართლე ისეთი იარაღია, ვერსად დამალავ და თავს მაინც იჩენს".

სუბიექტურობას ვერ გავექცევი-თქო, აღვნიშნე წერილის დასაწყისში, ვფიქრობ, აქ ასეთი არაფერია, მართალ ექიმზე მხოლოდ მართალი სიტყვა ვთქვი.

სამშობლოს მაცნე



# სწორუპოვარი წიგნი

**დასასრული.**
**დასაწყისი № 27, № 28.**

დიდი შრომისა და რუდუნების შედეგად დღემდე შემონახულია ბიბლიის მრავალი უნიკალური ხელნაწერი. მათგან უძველესია ქრისტემდე 350 წლით ადრე დაწერილი "სინაის კოდექსი". ხელნაწერი შემთხვევით იპოვა ცნობილმა მკვლევარმა ტიშენდორფმა 1844 წელს, როდესაც ეს ძვირფასი განძი წმინდა ეკატერინეს მონასტერში მიჰქონდათ დასაწვავად. ამჟამად "სინაის კოდექსი" ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული.

ასაკით მეორეა ძვ. წ. 320-50 წლებში გადაწერილი "ვატიკანის კოდექსი", რომელიც ბიბლიის მთლიან ტექსტს შეიცავს. ახ. წ. 150-200 წლებშია შედგენილი "ბოდბერის პაპირუსი", რომელიც ახალი აღთქმის ფრაგმენტს შეიცავს, ცოტათი უფრო ადრეა გადაწერილი ეგვიპტეში აღმოჩენილი ჯონ რაილანდის ხელნაწერი, რომელიც ახ. წ. 130 წლით თარიღდება.

მეტად ღირებულია ახ. წ. 400 წელს შესრულებული ალექსანდრიული კოდექსი, რომელიც ფაქტობრივად ბიბლიის სრულ ტექსტს შეიცავს.

არსებობს ბიბლიის სომხური და ქართული ხელნაწერები, რომლებიც შესაბამისად IV და V საუკუნეებით თარიღდება.

ხელნაწერთა შედარებითი კვლევით ირკვევა, რომ ბიბლიის გადამწერთა შეცდომები და უზუსტობანი თითქმის ნულის ტოლია. რაც იძლევა გარანტიას ბიბლიის ტექსტების საიმედოობისა და კანონიკურობისა. თვით ტერმინი "კანონი", რაც ებრაულ ენაზე ლერწმის მუხლს ნიშნავს, სწორედ ბიბლიის მუხლთა საზომად გამოიყენებოდა.

ბიბლიის ავტორისეული ვარიანტის დაცვისა და კანონიკურობას განსაკუთრებული სიფრთხილითა და პრინციპულობით ეკიდებოდნენ თალმუდიტები, რომელთა აზრით, ყოველივე ის, რასაც ბიბლიას მიაწერდნენ, არ შეიძლებოდა, რომ კანონიკურად, ანუ ჭეშმარიტ ბიბლიად ჩათვლილიყო.

ახ. წ. 500-900 წლებში, ე. წ. მასორიტულ პერიოდში, თალმუდიტებმა საფუძვლიანად შეისწავლეს ბიბლიის ტექსტი, მისი თვითოეული სიტყვა, ასო, სასვენი ნიშანი, დანომრეს, დააფიქსირეს იგი და გადმოსცეს მომავალ თაობებს.

ბიბლიის ტექსტის სიზუსტესა და მის პოპულარიზაციას დიდ ყურადღებას უთმობდნენ არა მხოლოს ებრაელები. ჯერ კიდევ ქრისტემდე III საუკუნეში ეგვიპტელთა მეფე პტოლემემ სპეციალურად მოიწვია ებრაელი ღვთის მსახურნი და ბიბლია ძველებრაული ენიდან ბერძნულ ენაზე ათარგმნინა. თარგმანზე მუშაობა მიმდინარეობდა 72 დღე-ღამის განმავლობაში. აქედან წარმოსდგა ამ ხელნაწერის სახელწოდება "სეპტუაგინა" (სამოცდაათი).

თავიდანვე დიდი იყო ბიბლიის გავლენა ადამიანებზე, რასაც მოხერხებულად იყენებდნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი. არაერთი შემოქმედი და სახელმწიფო მეთაური ცდილობდა, თავისი მოღვაწეობა და სახელმწიფოს შექმნა დაემსგავსებინა ისრაელის სახელმწიფოს წარმოშობის ბიბლიური ისტორიისათვის. რიგი მეფეებისა ცდილობდნენ საკუთარი გვარი და შესაბამისად თავიანთი სამეფო დინასტია წარმოეჩინათ ისრაელის მეფის, დავითის მემკვიდრედ _ შთამომავლად, რამეთუ მეტი ლეგიტიმურობა მიენიჭებინათ თავიანთი ტახტისა და ხელისუფლებისათვის.

ღმერთის მიერ ისრაელთათვის მეფედ შერჩეული დავითის მემკვიდრედ თვლიდნენ თავიანთ თავსა და გვარს, რომის იმპერიის დამანგრეველი ფრანკთა სახელმწიფოს მევორინგთა დინასტიის მეფეები. ხოლო საქართველოს ბაგრატიონთა დინასტიის მეფენი სიამაყით წარმოსთქვამდნენ თავინათ ტიტულატურას: "ჩუენ ესეიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატოვანნი".

"მოქცევაი ქართლისაის" ავტორი დიდი მონდომებით ცდილობს პირველი ქართული სახელმწიფოს შექმნა მაქსიმალურად დაამსგავსოს ისრაელის სახელმწიფოს დაარსებას, კერძოდ, ეგვიპტიდან გამოსული ებრაელების აღთქმულ მიწაზე დამკვიდრების ისტორიას და ისრაელის სახელმწიფოს დაარსებას. თუ ებრაელებს "აღთქმულ მიწაზე" გოგისა და მაგოგის ჯიშის ხალხი დახვდა, ქართლში თურმე ვიდრე ალექსანდრე მაკედონელი თავის ხალხს არ მოიყვანდა, აქ მხეცის მაგვარი "ბუნთურქები", ჰუნები და სხვა ველური ხალხი ცხოვრობდა. მეცნიერული კვლევებით კი საქართველოს ტერიტორიაზე არც ალ. მაკედონელის შემოსვლა და არც ამ ხალხების არსებობა არ დასტურდება.

ძნელია მოიძებნოს ისეთი განათლებული ადამიანი, რომელსაც ბიბლია არ წაეკითხოს, არ აღფრთოვანებულიყოს მისი ავტორების ზენაარ ნიჭით. არც ისაა შემთხვევითი, რომ სახელმწიფოს მეთაურთა ერთი ნაწილი ინაუგურაციის დროს ფიცს სწორედ ამ ღვთიურ წიგნზე დებს.

ცალკეული რელიგიის წარმომადგენლები, განსაკუთრებით იუდაიზმის თეოლოგები და მკვლევართა ერთი ნაწილი კრიტიკულად აფასებენ ახალ აღთქმას და მას საერთოდ არ მიიჩნევენ ბიბლიის შემადგენელ ნაწილად. მათი აზრით ახალი აღთქმა ქრისტიანობის იდეოლოგთა ფანტაზიის ნაყოფია, სადაც ევანგელისტებმა, ეკლესიის მამებმა, მათთვის მისაღებ სახარებებზე დაყრდნობით შექმნეს ქრისტეს შესახებ არსებული მითების სინთეზი. ამასთან, მათ ქრისტიანობის საფუძვლად, ქრისტეს მოწაფეთა 30-ზე მეტი სახარებიდან, მხოლოდ ოთხი სახარება გამოიყენეს.

ოპონენტები ბრალს დებენ ქრისტიანული რელიგიის შემოქმედთ, ადამიანების შეცდომაში შეყვანისათვის, რომ ქრისტიანული რელიგია თითქოს ბიბლიაზეა დაფუძნებული. პირიქით, ქრისტიანობა აღმოცენდა არა ბიბლიის, არამედ ბერძნული, ეგვიპტური, ბაბილონური და სხვა ძველი რელიგიების, მითებისა და გადმოცემების საფუძველზე. ხოლო ქრისტიანობის ძირითადი დოგმატები: ერთარსება სამება, ადამიანის სულის მარადიულობა, ჯოჯოხეთი, განსაწმენდელი და სხვა მსგავსნი არაბიბლიურია და მხოლოდ ქრისტიანი მამების ფანტაზიის ნაყოფი და ნების გამოხატვაა. ის სისასტიკე, რაც ქრისტიანული რელიგიის მიხედვით ცოდვილთა ჯოჯოხეთში ტანჯვასთანაა დაკავშირებული, არ შეიძლება, უფლისგან მომდინარეობდეს, რომ ყოველივე ეს ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ დოგმატს _ "ღმერთი სიყვარულია".

იშველიებენ რა ბიბლიურ სწავლებას _ "ცოცხალმა იცის, რომ მოკვდება, ხოლო მკვდრებმა არ იციან, რამეთუ მათ საფლავში არ მიყვებათ არც სიბრძნე, არც ცოდნა და არც საფიქრალი", ქრისტიანობის კრიტიკოსები აბსურდად მიიჩნევენ ქრისტიანულ დოგმატს სულის უკვდავების შესახებ, რომ ადამიანის სიკვდილის შემდეგ თითქოს მისი სული მიდის ზეცად ან ჯოჯოხეთში.

ოპონენტების კრიტიკის განსაკუთრებული ობიექტია ერთარსება სამებას ქრისტიანული დოგმატი, რომლის მსგავსი ბიბლიაში სინამდვილეში არაფერი მოიპოვება.

ქრისტიანობის ოპონენტებს კრიტიკის რეალურ საფუძველს აძლევს საუკუნეთა მანძილზე ქრისტიანული რელიგიის მამათა უხეში ჩარევა სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებასა თუ სისხლისმღვრელ ომებში. ეს მაშინ, როდესაც იესო ქრისტე მოუწოდებს ადამიანებს: "გიყვარდეთ ერთმანეთი ისე, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ". კათოლიკური ეკლესიის მესვეურნი კი ამის მიუხედავად თავიდანვე ერეოდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და არა მხოლოდ მონაწილეობდნენ სისხლისმღვრელ ომებში, არამედ თვითონვე ქმნიდნენ სხვადასხვა შეიარაღებულ ფორმირებებს, ორდენებს და ქრისტიანობის ალმით აწარმოებდნენ დაპყრობით ომებს, დევნიდნენ და იმონებდნენ მათთვის არასასურველ ხალხს, რომლებთანაც მანამდე შეხებაც კი არ ჰქონიათ. ანადგურებდნენ და ამახინჯებდნენ მათთვის მიუღებელ ბიბლიურ ტექსტებს, აზრსა და სიტყვებს, რომ მკითხველს სინამდვილე არ გაეგო.

როგორც აღვნიშნეთ, სპეციალისტთა შორის დავას იწვევს ქრისტიანული რელიგიის საფუძვლად მხოლოდ ოთხი სახარების შერჩევა. ეს მაშინ, როდესაც ქრისტეს მოწაფეთა და თანამედროვეთა 30-ზე მეტი სახარებაა ჩვენამდე მოღწეული. რატომ აირჩიეს სულიერმა მამებმა ქრისტეს მხოლოდ ოთხი მოწაფის: მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარებები? ქრისტიანული რელიგიის ამ ოთხი სახარების შემრჩევი და თავგამოდებული დამცველი იყო ცნობილი თეოლოგი ირინეოსი, რომელიც დაუნდობლად დევნიდა სხვა სახარებებს და განსაკუთრებით იუდას სახარებას. იმდენად უშეღავათო იყო ეს დევნა, რომ კაცობრიობამ სულ ახლახან შეიტყო იუდას სახარების არსებობა. ახ. წ. III საუკუნეში კოფტურ ენაზე გადაწერილი იუდას სახარება 1999 წელს იპოვეს ნიუ-იორკის ერთ-ერთი ბანკის საცავში ძლიერ დაზიანებული. საბედნიეროდ, ახალი ტექნიკის წყალობით, შესაძლებელი გახდა სახარების ტექსტის გაშიფვრა. იუდას სახარების ხელნაწერს XVIII საუკუნეში მიაკვლია ცნობილმა სპეციალისტმა, სტივენ ემილმა, როცა იგი დასაწვავად მიჰქონდათ, მაგრამ ხელმოკლეობის გამო სტივენმა მისი შეძენა ვერ შეძლო. ხელნაწერი შესრულებულია ახ. წ. III საუკუნეში, კოფტურ ენაზე.

იუდას სახარება გვამცნობს მისი ავტორის მსოფლმხედველობის აქამდე უცნობს დეტალებს, რომ მისი გნოსტიკური (ცოდნისეული) შეხედულებანი განსხვავებული და გამორჩეული იყო ქრისტეს მოწაფეთაგან. იუდა ყოველი მოვლენისადმი გონივრულ საფუძველს დამყარებულ შეფასებებს მოითხოვდა. მათ შორის სამყაროსეული მოვლენების შეფასებისა და თვით ღმერთის მიმართაც.

იუდა, ისე როგორც ზოგი სხვა სახარების ავტორი, არ ადასტურებს მათეს, ლუკას, მარკოზისა და იოანეს სახარებებში მოყვანილ მთელ რიგ ფაქტებს და ცნობებს. მათ შორის ისეთ გახმაურებულ ფაქტს, რომლის თანახმად თითქოს იუდამ იერუსალიმში (სემანის ბაღში) რომის პროკურატორთან დაასმინა იესო ქრისტე.

რატომ გმობენ ქრისტიანები იუდას?

მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ქრისტიანული რელიგიის მესაძირკვლეებმა იუდას სახე სპეციალურად შექმნეს, რათა მოეხდინათ ქრისტიანობის დისტანცირება 5 საუკუნით ადრე შექმნილ იუდაიზმისაგან, კიდევ უფრო დაეშორებინათ და განესხვავებინათ ერთმანეთისგან ბიბლიაზე აღმოცენებული ეს ორი რელიგია.

ასეთი დამოკიდებულება მისაღები იყო იმდროინდელი რომის სახელმწიფოს მესვეურებისა და პოლიტიკური იმპლედიშმენტისათვის. იუდასაგან ანტიქრისტეს შექმნა იდეოლოგიურად ამყარებდა რომში დამკვიდრებულ ანტისემიტიზმს, ამართლებდა ებრაელთა დაუნდობელ დევნას, რამაც მაშინდელ რომის იმპერიაში მეტად საშიში და სასტიკი ხასიათი მიიღო.

იუდას გამყიდველობისა და ანტიქრისტეობის პროპაგანდამ იმდენად ძლიერი გავლენა იქონია, რომ არავის ახსოვდა სახარებებში ერთმნიშვნელოვნად აღწერილი იუდას მონანიება, როდესაც მან საკუთარ თავს არ აპატია ქრისტეს ღალატი და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

სპეციალისტები მიუთითებენ იმასაც, რომ ქრისტიანობამ შეცვალა და საკუთარ მიზნებს ხელოვნურად მოარგო ცალკეულ სახარებათა ტექსტები.

განსაკუთრებულ გაურკვლელობას იწვევს და ეჭვს აძლიერებს ქრისტიანობის მიერ პეტრეს სახარების უარყოფა, პეტრესი, რომელიც იყო ქრისტეს უახლოესი და უსაყვარლესი მოწაფე და რომელმაც პირველმა აღიარა იესო ქრისტე მესიად. პეტრეს, რომელსაც სახელი თვით მაცხოვარმა შეურჩია (სიმონის ნაცვლად პეტრე დაარქვა). პეტრე ქართულად "კლდეს" ნიშნავს, კლდეს, რაზედაც უნდა აგებულიყო ქრისტიანული ეკლესიები. პეტრემ, რომელიც მიჩნეულია მოციქულთა მამამთავრად, ქადაგებით შემოიარა იუდეა, გალილეა და რომი. პეტრე ავტორია ყველაზე სქელტანიანი და სრულყოფილი სახარებისა და ორი ეპისტოლესი. პეტრე, რომელიც იყო რომის ეკლესიის პირველი ეპისკოპოსი; პეტრე, რომლის სახელსაც ატარებს რომის ყველაზე დიდი ქრისტიანული ტაძარი; პეტრე, რომლის სახელს უკავშირდება ადრინდელი ქრისტიანული რელიგიური მიმდინარეობა "პეტრინიზმი", და ბოლოს პეტრე, რომელიც ჯვარს ეცვა, ისე როგორც უფალი იესო ქრისტე.

მტერი, კრიტიკოსი და ოპონენტი, არა მხოლოდ ახალ აღთქმასა და ქრისტიანობას, არამედ, როგორც ითქვა, თვით ბიბლიასაც მრავალი ჰყავდა და ჰყავს. "ცუდას რად უნდა მტერობა" მოგვძახის ქართველთა მთის არწივი. "დიდსა მაღალსა ნათელსა მზესა, ზოგჯერ ღრუბელი შეუცვლის ფერსა", გვასწავლის ქართული ანდაზა.

რომის იმპერატორმა დიოკლეტიანემ 303 წელს ბიბლია კანონგარეშედ გამოაცხადა და სასტიკი დევნა დაუწყო ქრისტიანებს. მისმა ტერორმა მრავალი უდანაშაულო სიცოცხლე შეიწირა. მათ შორის ქართველთა უსაყვარლესი გმირი და ღმერთკაცი წმიდა გიორგი.

ცდუნებას ვერ ასცდა თვით ვოლტერიც, რომელმაც ქრისტიანობასა და ბიბლიას მხოლოდ 100 წლის სიცოცხლე უწინასწარმეტყველა.

ასეთ ფონზე შთამბეჭდავია ბერნარდ რამის ცნობილი სიტყვები: "ათასჯერ შემოჰკრეს ბიბლიის დასამარების ზარები, იმართებოდა მისი დასაფლავების პროცესები, მაგრამ ბიბლია ვერ მოკლეს... როგორც იტყვიან, გრდემლი დგას, ურო ჩლუნგდება".

როგორც ბრძენი იტყვის _ "უნაკლო მხოლოდ ნაკლია". ლაქები თვით მზესა და მთვარესაც აქვს. მიუხედავად რიგ შემთხვევებში მისი ტენდენციურობისა, მასში აღწერილი ფაქტების ერთი ნაწილის მითიურრელიგიური ხასიათისა, ზოგიერთი მოვლენისა და შეფასებების თანამედროვე, მეცნიერებასთან შეუთავსებლობისა, ბიბლია კაცობრიობის უპირველესი, ყველაზე პოპულარული წიგნია. საფუძველია მონოთეისტური რელიგიებისა, ევროპული რენესანსისა, სათავეა თანამედროვე გლობალიზაციისა. იყო, არის და მარად იქნება შემოქმედი ადამიანის შთაგონების წყარო. ამ მიმართებით საყურადღებოა დიდი ადამიანების აზრი ბიბლიის შესახებ. აი, ზოგიერთი მათგანი:

ისააკ ნიუტონი _ "ბიბლია საიმედოობის უფრო მეტ ნიშნებს შეიცავს, ვიდრე ყველა დანარჩენი ელიტური ისტორია".

გოეთე _ "რამდენადაც უნდა ამაღლდეს ადამიანის გონება და მეცნიერება, იგი ვერ აღემატება ზნეობისა და კულტურის იმ დონეს, რაც სახარებებშია მოცემული".

ნაპოლეონი _ "ბიბლია არაჩვეულებრივი ცოცხალი არსებაა, გამარჯვებული ყოველ წინააღმდეგობაზე".

დედოფალი ვიქტორია _ "მე ინგლისის დიდებას ბიბლიას მივაწერ".

იმანუელ კანტი _ "ყოველგვარი ცდა ბიბლიის დამცირებისა, დანაშაულია კაცობრიობის წინაშე".

აბრაამ ლინკოლნი _ "ბიბლია ყველაზე საუკეთესო საჩუქარია, რაც ღმერთს უბოძებია ადამიანისათვის".

ვ. გლადსტონი _ "ბიბლია განუზომლად უსწრებს წინ დანარჩენ წიგნებს".

დანიელ ვებსტერი _"თუ ვიხელმძღვანელებთ ბიბლიის პრინციპით, ჩვენი ქვეყანა მარადიულ ნეტარებაში იქნება. თუ ჩვენ ან მომავალი თაობა გადაუხვევს მას, კატასტროფა გარდუვალი გახდება".

ჩვენი მხრივ ვიტყოდით: ბედნიერია ერი, რომლის ზეგარდმო ნიჭმა ასეთი საოცრება უბოძა ადამიანებს. სხვა რომ არაფერი შეექმნა ებრაელ ხალხს, მათი რჩეულობის დასტურად მარტო ბიბლიაც იკმარებდა.

ოცი საუკუნეა ებრაული იდეოლოგიით საზრდოობს პროგრესული

# ანზორ მაჩიტიძის სახელობის მემორიალი

ნინო ნანიტაშვილი

11 ოქტომბერს დაიწყო და 15 ოქტომბრამდე გაგრძელდა ანზორ მაჩიტიძის სახელობის მემორიალი.

წარსულში ცნობილმა მოჭადრაკემ და დამსახურებულმა მწვრთნელ-მასწავლებელმა რესპუბლიკის მასშტაბით სახელი დატოვა, რომლის უკვდავსაყოფად, მართალია, ცოტა დაგვიანებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტმა შარშან საფუძველი ჩაუყარა მემორიალს, რომლის მიმართ დიდი დაინტერესება გამოიჩინა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ. მასში მონაწილეობის მისაღებად შარშანაც და წელსაც საქართველოს 15-მდე რაიონიდან 140-მდე მოჭადრაკე იყო ჩამოსული.

ტურნირი სამტრედიის ჭადრაკის ფედერაციასთან ერთად გამგეობის კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ იყო ორგანიზებული. ასევე ჩაერთო იმერეთის ჭადრაკის ფედერაცია. ტურნირს უძღვებოდა საერთაშორისო არბიტრი ალექსანდრე არსენიძე, რომელიც იმავდროულად არის იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივანი.




სიმბოლურად პირველი სვლა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერიანე ფოცხვერიამ გააკეთა. იგი მიესალმა ტურნირის მონაწილეებს და დამსწრე საზოგადოებას, დიდი პატივისცემა გამოხატა აწ გარდაცვლილი ანზორ მაჩიტიძის მიმართ, აღნიშნა, რომ ეს მემორიალი ჩაწერილია სამტრედიის სპორტულ კალენდარში და ყოველწლიურად მოხდება მისი აღნიშვნა.

ორიოდე სიტყვით მიესალმნენ შეკრებილებს სამტრედიელი სასახელო მოჭადრაკეები, ანზორ მაჩიტიძის მოსწავლეები მერი არაბიძე და დავით ჯოჯუა. სამტრედიის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარემ, კობა ძიძიგურმა, აღნიშნა, რომ მას დიდი ხანია ჰქონდა სურვილი, თავისი მასწავლებლის, ანზორ მაჩიტიძის მიმართ რაიმე კონკრეტული ფორმით მადლიერება გამოეხატა: "მოხარული ვარ, რომ მომეცა საშუალება, ჩემი მხრიდან მცირეოდენი წვლილი შემეტანა ამ ტურნირის ჩატარებაში. მაკა მაჩიტიძის, ანზორ მასწავლებლის ქალიშვილის მონდომებითა და შემართებით ჩამოყალიბდა მემორიალი, რომელიც ყოველწლიურად შეკრებს სამტრედიაში საქართველოს წარმატებულ მოჭადრაკეებს და პოპულარიზაციას გაუწევს სპორტის ამ ჭკვიანურ სახეობას".

შარშანდელისაგან განსხვავებით ტურნირს დაემატა ასაკობრივი ჯგუფები. 8-იან, 10-იან და 12 წლიან ჯგუფებს დაემატა 14-16 წლიანები, ასევე, ქალთა და მამაკაცთა ღია ტურნირი.

თამაშები 11 ოქტომბერს დაიწყო, დასრულდა 14 ოქტომბერს. სულ 7 ტური ჩატარდა, გამოვლინდნენ გამარჯვებულები როგორც ასაკობრივი, ასევე, ღია ტურნირების მიხედვით.

საპრიზო ადგილები დაიკავეს 8 წლიან გოგონებში: მარიამ სარიშვილი, ლანჩხუთი, 6 ქულა; ელენე იაშვილი, ქუთაისი 5 ქულა; ელენე ლაგვილავა, ხობი, 5 ქულა.

8 წლიან ჭაბუკებში: საბა ქობალია, ზუგდიდი, 6,5 ქულა; გიორგი ჭანტურია, სენაკი, 6 ქულა; საბა ბოლქვაძე, ჩოხატაური, 5,5 ქულა.

10 წლამდე ჭაბუკებში: ნიკოლოზ შამათავა, ზუგდიდი, 6 ქულა; ვასიკო შაპოვალოვი, ვანი, 5 ქულა; მარიამ გოთოშია, სამტრედია, 5 ქულა.

10 წლამდე გოგონებში: ანა ჩუბინიძე, ქუთაისი, 6,5 ქულა; ლიზი ფოჩხუა, მარტვილი, 5,5 ქულა; მელანო კიკვიძე, ქუთაისი, 5 ქულა.

მამაკაცთა შორის: ლევან ბაბუხადია, ტყიბული, 6.5 ქულა; სიმონ ხაჟალია, სამტრედია, 6 ქულა. ტარიელ ხუხუნაიშვილი, ლანჩხუთი, 5,5 ქულა.

ქალთა შორის: თამარ ესაძე, ქუთაისი 4,5 ქულა.

გამარჯვებულებს გამარჯვება მიულოცეს და შესაბამისად პრიზები გადასცეს ანზორ მაჩიტიძის მეუღლემ, გულნაზ მაჩიტიძემ, ქალიშვილმა, მაკა მაჩიტიძემ, სპორტსკოლის დირექტორმა, ვანო კილტავამ, გამგებლის მოადგილემ, ლიზა კრავეიშვილმა, მსოფლიო ჩემპიონმა, მერი არაბიძემ, სპორტის სამსახურის უფროსმა, ნატალია მანჯგალაძემ, სამტრედიის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარემ, კობა ძიძიგურმა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერიანე ფოცხვერიამ.






პრიზები მიიღეს აგრეთვე მწვრთნელებმა ტურნირში მონაწილე ბავშვების საპრიზო ადგილების შესაბამისად. მათ შორის არიან პირველი ადგილის მფლობელი ბესარიონ ლეჟავა (სამტრედია), მეორე ადგილი _ ინგა კიკვიძე (ქუთაისი), მესამე ადგილი _ მამუკა გეთია (ხობი), მეოთხე ადგილი _ ადამ ხუხუნაიშვილი (ლანჩხუთი), მეხუთე ადგილი _ გოჩა თორია (ზუგდიდი).

გახსნის ცერემონიას დაესწრო საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი დავით ჯოჯუა.

იმ დღეს პრიზი აიღო 5 წლის გოგონამ, რომელსაც დავით ჯოჯუას მხრიდან დაწესებული ფულადი ჯილდო, 100 ლარი გადასცეს, როგორც ყველაზე პატარა მონაწილეს. ყველა პრიზიორს ანზორ მაჩიტიძის წიგნი საჩუქრად გადასცეს.

---

←

კაცობრიობა, რაც კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

ბიბლიის შემოქმედი ებრაელი ხალხის რჩეულობას, მათ გამორჩეულ ნიჭსა და უნარს, ხალხზე, რომელიც უნიკალური მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში, თვით ისრაელის შვილთა ნამოღვაწარი და შემოქმედების მასშტაბები ადასტურებენ. ასეთ ვითარებაში სავსებით კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ სიონისტური ორგანიზაციის პრეზიდენტის ნაუმ გოლდმანის სიტყვები: "ებრაელობა ღმერთის შემოქმედების გვირგვინია, უნიკალური მოვლენაა, სულიერად განსხვავებული ერია".

კაცობრიობის ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელშიც ისრაელის შვილთა გამორჩეული როლი და ხელწერა არ იკვეთებოდეს.

გადამწყვეტი იყო ებრაელთა როლი ადამიანთა საზოგადოების ბურჟუაზიულ გარდაქმნებში, კაპიტალისტურ სოციალურ-ეკონომიკური წყობის შექმნაში, ფეოდალური ურთიერთობებისა და აბსოლუტური მონარქიების მმართველობის ახალი ფორმებით შეცვლაში. მათი ნიჭისა და შემოქმედებითი უნარის შედეგია სახელმწიფოს მართვის რესპუბლიკური ფორმა, საპრეზიდენტო იქნება იგი თუ საპარლამენტო. ებრაელთა უშრეტი ფანტაზიისა და ენერგიის ნაყოფია საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე ინსტიტუტები, სამხედრო-პოლიტიკური ბლოკები თუ ფინანსურ-ეკონომიკური გაერთიანებები, ისინი არიან ძირითადი შემოქმედნი და იდეოლოგები "ახალი მსოფლიო წესრიგისა". "რჩეული ხალხი" პირველი ვიოლინოა ფარული ორგანიზაციებისა და მონდეალისტური გაერთიანებების საქმიანობაშიც.

დღეს ძალიან ბევრს საუბრობენ ე. წ. "ფარული ხელის" მსოფლიო არაოფიციალური მთავრობის, როგორც თანამედროვე სამყაროს წამყვანი ძალის, ჩვენი პლანეტის რეალური მმართველის თაობაზე. იმასაც ერთხმად მიანიშნებენ, რომ მსოფლიო მთავრობის წევრთა დიდი უმრავლესობა სწორედ "რჩეული ხალხის" შვილებია. არაერთი ინფორმაცია არსებობს, რომლის თანახმად დღეს შედარებით მცირერიცხოვანი ებრაელობა ფლობს მსოფლიო ეკონომიკური რესურსებისა და ფინანსების 80 პროცენტზე მეტს, ხოლო მარტო როტშილდების სიმდიდრე 3 ტრილიონ დოლარს აღწევს.

არავინ დავობს, არც იმაზე, რომ ბურჟუაზიული, კაპიტალისტური გარდაქმნების მომასწავებელ ჰოლანდიის, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების ბურჟუაზიულ-დემოკრატიულად წოდებულ რევოლუციათა იდეოლოგი და მოთავე ებრაელობა იყო. უკვე ხმამაღლა, დაუფარავად საუბრობენ ებრაელთა წამყვან როლზე რუსეთის რევოლუციებში, მათ შორის ოქტომბრის ცნობილ სახელმწიფო გადატრიალებაში, რომელიც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელითაა ცნობილი.

ასევე გადამწყვეტი იყო ებრაელთა წვლილი ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გაჩაღება-წარმართვასა და აშშ-ის სახელმწიფო მმართველობის ფორმისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ფორმირებაში. როცა რჩეულ ხალხს ეს მოესურვა ცნობილი სამოქალაქო ომისათვის, სამხრეთ და ჩრდილოეთ შტატების სისხლისმღვრელი ბრძოლებისათვისაც კი გასწირეს ამერიკელები. შემთხვევითი არც ისაა, რომ ებრაელები აშშ-ს თავიანთ "მეორე სამშობლოდ" მიიჩნევენ.

განუზომლად დიდია "რჩეული ხალხის" როლი მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის, საერთოდ ცივილიზაციის პროგრესში. განა არსებობს სხვა ისეთი ხალხი, რომელსაც ესოდენ დიდი წვლილი ჰქონდეს შეტანილი კაცობრობის ცივილიზაციის განვითარებაში, როგორიც ეს აქვთ დავითის შთამომავალთ?

დღეს უკვე ნათლად გამოიკვეთა კონტურები და არ არის საჭირო საამისოდ არსებული "შეთქმულების თეორიის" სპეციალური ცოდნა, რომ გონიერმა კაცმა დაინახოს თუ ვინ არის მსოფლიოს ფაქტობრივი გამგებელი, ვისი ნებითა და კარნახით იმართება მსოფლიო და მათ შორის სუპერ-სახელმწიფო აშშ. დიახ, ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც იმართება უმდიდრესი ფინანსური კლანებით დაკომპლექტებული არაოფიციალური მსოფლიო მთავრობის მიერ, მთავრობისა, რომლის წამყვან ძალას სწორედ ებრაელები წარმოადგენდნენ.

ეს კი ბიბლიის წინასწარმეტყველ ავტორთა უმთავრესი იდეის _ ებრაელი ხალხის "ღვთისაგან რჩეულობის" პრაქტიკული დადასტურებაა. დავითის შთამომავალთ მსოფლიო ბატონობის საბოლოო აღსრულებისათვის რჩება მხოლოდ "მსოფლიო პატრიარქის" იერუსალიმში ოფიციალური კურთხევა.

გასაოცარია ებრაელთა ნიჭი და შრომისუნარიანობა _ 26 საუკუნის მანძილზე საკუთარი სამშობლოდან დევნილმა ხალხმა, რომელმაც თავი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანას შეაფარა, არა მხოლოდ შეძლო ეროვნული ღირსებების შენარჩუნება, არამედ 7 მილიარდნახევარიანი მსოფლიოს სახელმწიფოების აბსოლუტური უმრავლესობის ფაქტობრივი მმართველი გახდა.

ასეთ ვითარებაში სავსებით რეალური და ლოგიკურია ბიბლიის ავტორთა აზრი საკუთარი ხალხისადმი და ებრაელების "ღმერთის რჩეულ ხალხად" გამოცხადება.

ღმერთმა ინებოს, რომ თავისი "რჩეული ხალხის" ნიჭი და უნარი კაცობრიობის პროგრესს, მომავალი მსოფლიოს სამართლიან ინტერესებს მოხმარდეს.

მარად ზეობდეს სწორუპოვარი ქმნილების _ ბიბლიის შემოქმედი ღმერთის "რჩეული ხალხი".

დემურ ღლონტი? 



# სიცილით დაავადებულები

1962 წლის 30 იანვარს ტანგანიკაში (ამჟამინდელი სახელწოდებით _ ტანზანიაში) საშინელება ხდება: ქალთა სკოლის სამი მოსწავლე ახარხარდა, მაგრამ შეჩერება ვეღარ შეძლო! სიცილს ცვლიდა კვნესა, რასაც ერთვოდა შიშის შეტევები, ზოგჯერ კი აგრესიის გამოვლინება. ეს უცნაური სიმპტომები სკოლაში მალე გავრცელდა. ‘‘შეტევების’’ ხანგრძლივობა რამდენიმე საათიდან 16 დღემდე იყო.

მალე არაბუნებრივმა სიცილმა სკოლის 159 მოსწავლიდან 95 მოიცვა. სულ მცირე დროის შემდეგ ამ მოვლენამ ეპიდემიის სახე მიიღო და აუცილებელი გახდა სკოლის ორი თვით დახურვა. სკოლის დახურვიდან 10 დღის შემდეგ ერთ-ერთ ახლო სოფელში ახალი აფეთქება მოხდა. ეპიდემიის გამო დახურული სკოლის რამდენიმე მოსწავლე სწორედ ამ სოფლიდან იყო. აპრილსა და მაისში ამ უცნაური ‘‘ეპიდემიის’’ მსხვერპლი 217 ადამიანი გახდა. ყველა ‘‘დაავადებული’’ ჯანსაღი ფსიქიკის ადამიანი იყო. სიცილის შეტევების პერიოდში მათ არ აღენიშნებოდათ არც ცხელება, არც კრუნჩხვა, არც რაიმე ლაბორატორიული მონაცემის ცვლილება. მკვლევრებმა წამოაყენეს ამ უცნაური მოვლენის ასახსნელი სხვადასხვა თეორია მათ შორის შესაძლო ფსიქოტროპული ეფექტის მქონე სოკოს ზემოქმედების შესახებაც, თუმცა არც ერთი არ დადასტურებულა. სიცილის ეპიდემიის ეს უცნაური შემთხვევა დღემდე ამოუცნობი ფენომენია.

# ფეიხოასა და თაფლის ნაერთი იოდის შეუცვლელი საბადო

ფეიხოასა და თაფლის ნაერთი უმეტესწილად გამოიყენება ფარისებრი ჯირკვლისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის სამკურნალოდ. ის სასარგებლოა ნერვული სისტემის დასამშვიდებლად. შეიცავს C, B, P ვიტამინებს.

ხშირად დარღვევები ორგანიზმში განპირობებულია იოდის ნაკლებობით, მოზარდებში მისი ნაკლებობა ხელს უშლის სიმაღლეში ზრდას, ასევე ინტელექტუალურ განვითარებას.

სამკურნალო მასის მისაღებად საჭიროა ინგრედიენტების ზუსტი თანაფართობა 1 : 1, მაგრამ ფეიხოას მიღება აუცილებელია ცოცხალი სახით, რადგან წამოდუღებისას ის კარგავს სასარგებლო თვისებებს. ჯემის მოსამზადებლად აიღეთ 1 კგ ფეიხოა, გარეცხეთ და მოაცილეთ თავი და ბოლო. არ არის საჭირო მისი გათლა, რადგან ფეიხოას კანშიც უამრავი ვიტამინია და მისი მიღება სასარგებლოა. გარეცხილი ფეიხოა გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. მიღებულ მასაში კარგად აურიეთ თაფლი, თუ თაფლი არ გაქვთ შეგიძლიათ შაქარი გამოიყენოთ, ჯემმა უფრო სასიამოვნო გემო რომ მიიღოს. შემდეგ გადაიტანეთ შუშის ქილაში და შეინახეთ მაცივარში 1 დღე, მიიღე 1 ჩ/კ დღეში სამჯერ. შეგიძლიათ წყალშიც გახსნათ.



## ხსოვნა

### გრიშა მანჯგალაძე



თავიდანვე გამოირჩეოდა კეთილშობილებით, სამართლიანობით, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მეტყველებითა და ლექსიკით; გნებავთ ვაჟკაცური ფიზიკური აღნაგობითა და ძალით. უფალმა სიკეთე არ დაიშურა მისთვის.

გიზიდავდა, აღგაფრთოვანებდა გრიშას პიროვნული თვისებები, ერთგულება, უანგარობა, მხარში დგომა, თავდადება... გამორჩეული იყო მისი კაცთმოყვარეობა და მეგობრობა.

თვალწინ მიდგას ღანირის საშუალო სკოლაში მასთან გატარებული წლები, მისი არაორდინალობა და თავისებურებები, სირთულეების დაძლევისა და გადაწყვეტის უნარი.

იცოცხლა კაცურად, ისე რომ არ დაუმძიმებია დედამიწა და არავინ შეუწუხებია ამქვეყნიური ყოფით.

დაგვტოვა მარად ხელგაშლილმა მასპინძელმა, სტუმართმოყვარეობით გამორჩეულმა, ლხინის მოთავე კაცმა. როგორც პოეტი ბრძანებს: წავიდა ჩვენგან ‘‘კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს’’.

გრიშა მანჯგალაძის ნათელი სული უქრობი კელაპტარი იქნება მარადიული სასუფევლისა.

**დემურ ღლანიძე**



### ვალერი ახობაძის გახსენება

წელი გავიდა შენი უეცარი გარდაცვალებიდან ჩვენო დიდო დარდო და ტკივილო, ჩვენო შვილო, ძმაო.

დროის სვლასთან ერთად უფრო გაუსაძლისი ხდება უშენობით გამოწვეული ტკივილი. როგორ ძლიერ გვაკლიხარ, შენზე ფიქრსა და დარდში ვაღამებთ და ვათენებთ.

სანთელი, ყვავილები, ჩვენი ცრემლი არასოდეს მოაკლდება შენს საფლავს.

ნათელში იყავი ვალერი, არასოდეს დაგივიწყებთ!

**ოჯახი**

### თემურ ჩომახიძე



ორმოცი ტკივილიანი დღე გავიდა თემურ ჩომახიძის ტრაგიკული გარდაცვალებიდან. მოულოდნელი ტკივილი ძნელი გადასატანია ჩიქოვანის ქუჩის უახლოესი მეზობლებისათვის.

მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა შენს სულს. შენი სახელი მუდამ დარჩება ჩვენს გულებში.

**ჩიქოვანის ქუჩის მეზობლები**



### სერგო კვანტალიანის ხსოვნას!

ერთი ტკივილით აღსავსე წელი გავიდა სერგო კვანტალიანის გარდაცვალებიდან. ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს პატიოსანო, ჭკვიანო, თბილო, საყვარელო და ყველანაირი ვაჟკაცური ღირსებებით დაჯილდოვებულო ჩვენო სერგო. დასანანია შენი ამ ქვეყნიდან ასე უდროოდ წასვლა, როგორ ლამაზად ცხოვრობდი, როგორ ყველას უნაწილებდი თავის წილ სიყვარულს. უცაბედად გამოგვეცალე ხელიდან და დიდი ტკივილი დაუტოვე შენს ოჯახს, ჩიქოვანის ქუჩის მეზობლებს და მეგობრებს. იძინე მშვიდად, ჩვენო დიდო გულისტკივილო.

**ჩიქოვანის ქუჩის მეზობლები, მეგობრები**

მზევინარ და გულო ბოხუები, ოჯახებით თანაუგრძნობენ, ხათუნა დოლიძეს და ლენა ნიკურაძეს, საყვარელი მეუღლისა და სიძის

**ემზარ დარჯანიას**

გარდაცვალების გამო.

№ 2 ბაგა-ბაღის ყოფილი და ამჟამინდელი თანამშრომლები, თანაუგრძნობენ ხათუნა დოლიძეს მეუღლის

**ემზარ დარჯანიას**

გარდაცვალების გამო.

# ყველაზე საინტერესო ფაქტები სამყაროში

ძველ საბერძნეთში თუ პაციენტი ოპერაციის დროს გარდაიცვლებოდა, ექიმს, ხელებს აჭრიდნენ.

მორიელებს შეუძლიათ 2 წლის განმავლობაში არაფერი ჭამონ.

მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ თუ 21 დღის განმავლობაში სულ ერთი და იმავეს დაიცავ, ჩვევად გექცევა. ესე იგი, მხოლოდ 21 დღე უნდა გაიჭირვო და მერე მარტივია.

როდესაც შუშა იბზარება, ბზარი ფართოვდება 5000 კმ/ს სიჩქარით.

ეიფელის კოშკს ყოველ 7 წელიწადში ერთხელ თავიდან ბოლომდე ღებავენ.

ყველაზე სწრაფი ადამიანი მსოფლიოში ჰუსეინ ბოლტია, მისი მაქსიმალური სიჩქარე 37. 578 კმ/ს-ია.

გენერალი შერმანი: ყველაზე დიდი ხე პლანეტაზე მისი მოცულობა 1487 მეტრ კუბია, მასა 1900 ტონა, ასაკი 2000 წელი.

ჩინეთში მასწავლებლები ბავშვებს უფლებას აძლევენ გაკვეთილზე 20 წუთით დაძინების, რათა უკეთ ისწავლონ.

90% გოგონებისა უკმაყოფილოა საკუთარი ფიგურის.

სიმპსონები _ ყველაზე გრძელი მულტსერიალი.

ძველ ეგვიპტეში კატის მკვლელობა სერიოზულ დანაშაულად მიიჩნეოდა.

ასტრონავტების ჩაფხუტებზე არის სპეციალური მოწყობილობა, რითიც შეიძლება საჭიროების შემთხვევაში ცხვირის მოფხანა.

კინდერ სურპრიზის შემოტანა და გაყიდვა აკრძალულია აშშ-ს ტერიტორიაზე.

მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ქალის სახელი ანაა, ეს სახელი 100 მილიონ ქალს ჰქვია.

Pupula duplex-ესი ძალიან იშვიათი დაავადებაა, როდესაც ერთ თვალში ორი გუგაა.

მე-17 საუკუნეში თერმომეტრებს კონიაკით ავსებდნენ და არა ვერცხლისწყლით.

არსებობს ჩიტი, რომელიც პრაქტიკულად ყველაფერს აჯავრებს.

ფინეთში სიჩქარის გადაჭარბების ჯარიმა განისაზღვრება მძღოლის წლიური შემოსავლის მიხედვით.

ზვიგენს შეუძლია ერთი წვეთი სისხლის აღქმა 100 ლიტრ წყალში.

რულეტის ციფრთა ჯამი 666-უდრის.

კოლიბრის ერთადერთი ჩიტია, რომელსაც უკან ფრენა შეუძლია.

შოკოლადის სასიკვდილო დოზა ადამიანისთვის 10 კილოა ერთ ჭამაზე.

პეპლები მიწისძვრის დროს ვერ დაფრინავენ.

ხეოფსის პირამიდის ფილებს შორის ქინძის თავს ვერ ჩადებ.

იაპონიაში ქუჩებს დასახელებები არ აქვთ.

დაახლოებით ადამიანების 70 პროცენტამდე სხვისი აზრის ზეგავლენის ქვეშ არიან, მხოლოს 30% გააჩნია საკუთარი აზრი.

სტატისტიკურად ადამიანების 58% უცნაურად იცინის.

წამწამი 100-200 დღეს ცოცხლობს და შემდეგ ვარდება.

მსოფლიო რეკორდი სუნთქვის შეკავებაში 22 წუთი და 30 წამია.

ვინდოუსში ვერ შექმნით ფაილს ან პაპკას სახელად con.

Skitls-ის ორგინალურ შეფუთვაზე არ არის ლურჯი ფერი, ამიტომ ცისარტყელას ვერ გასინჯავთ.

ქალის გული უფრო სწრაფად ფეთქავს, ვიდრე კაცის.

ვეშაპის გული წუთში დაახლოებით 9-ჯერ ცემს.

ჰავაიში სერფინგი ჩართულია სკოლის პროგრამაში.

წელი, რომელიც ღვინის ბოთლზეა მითითებული, აღნიშნავს წელს, როდესაც ყურძნის ნაყოფი დაკრიფეს და არა როდისაა ღვინო ბოთლში ჩასხმული.

ლეონარდო და ვინჩიმ დახარჯა თითქმის 12 წელი, რომ დაეხატა "მონა ლიზას ტუჩები".

ესკიმოსების ენაში არ არსებობს სიტყვა "გუშინ".

## "Cambiatio" ნახევარსაუკუნოვანი ბაღი უზარმაზარ ბოთლში



როდესაც დევიდ ლათიმერმა 1960 წლის აღდგომის დღესასწაულზე შუშის უზარმაზარ ბოცაში მიწა და მცენარის თესლები ჩაყარა, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ცოტა ხანში ნამდვილ ჯუნგლებს მიიღებდა, რომელიც ათეულობით წელს გაძლებდა.

ახლა, ნახევარი საუკუნის შემდეგ, ლათიმერის ბაღი შუშაში ისევ აგრძელებს ზრდას, მიუხედავად იმისა, რომ პატრონმა ის ბოლო 1972 წელს მორწყო. 54 წლის წინ ლათიმერმა უზარმაზარ ბოთლში ცოტა კომპოსტი და მიწა ჩაყარა, შემდეგ მავთულის საშუალებით პატარა ორმოები ამოთხარა და მათში ფრთხილად მოათავსა ტრადესკანციას თესლები. ბოლოს ცოტა წყალი მოასხა და ჰერმეტულად დახურა. ბოთლი სახლის მზიან კუთხეში წლების განმავლობაში იყო მოთავსებული და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბოლოს მოსარწყავად 42 წლის წინ გაიხსნა. მთელი ამ დროის განმავლობაში ბოთლში თვითმკმარი ეკოსისტემა ჩამოყალიბდა _ ფაქტობრივად, უნიკალურ გარემოში წარმატებულად შეიქმნა დედამიწის მაკროსისტემა.

დევიდ ლათიმერი უკვე 80 წლისაა და თავისი ექსპერიმენტის შედეგის დატოვებას შვილისა და შვილიშვილებისთვის აპირებს.



60 წლის იუბილარს,
როლეზს ვაღიარებდი,
მაყურებელს რომ გვაჩუქა,
"თეთრი ბაირაღები".

## გულოცავთ!

**ბატონ მამუკა თავაძეს!**

დაბადების დღეს გილოცავთ, უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ. წარმატებებს გისურვებთ!

**ვეტერანთა რაიონული კავშირი**

---

**ბატონ გია ბოჭორიშვილს!**

ღირსეულ ქართველს, მეგობარს, ბრწყინვალე ოჯახის თავკაცს გილოცავთ დაბადების დღეს, იხარეთ და იდღეგრძელეთ!

**მეგობრები**


## იყიდება

სამოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა ლოჯით მეოთხე სართულზე რუსთაველის ქ. № 111-ში.

ფასი შეთანხმებით.

**ტელ.: 577 03 53 38.**



რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა